პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO KOMITETA KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYASHCHIKHSYA GRUZINSKOY SSR

გამოცემის 33-ე წელი

№ 143 (9303)

ოთხშაბათი

18

ივნისი

1952 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

შეუნელებელი ყურადღება პროდუქციის ხარისხს — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
ხალხთა ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის! — „პრავდის“ 17-VI მოწინავე (მე-2 გვერდი).
ქუთაისის ტყესაცავ სადგურში (მე-2 გვერდი).
ვებრძოლოთ ხელგაშლილობას, მაკვანძებლობასა და შინაურულ განწყობილებას (3-ე გვერდი).
წერილები რედაქციას (3-ე გვერდი).
სოციალიზმისა და მშვიდობისათვის შეგნებული მებრძოლი (მე-3 გვერდი).
გერმანიის პროტესტანტების გადამწყვეტ საერთაშორისო კონფერენციაზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

შეუნელებელი ყურადღება პროდუქციის ხარისხს

პარტია და მთავრობა მრეწველობის მუშაკებს მიუთითებენ, რომ საჭიროა საწარმოო პროგრამის ისე შესრულება, რომ იგი უზრუნველყოფდეს ჩვენს ქვეყანას დაწესებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის პროდუქციით. გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მისი თვითღირებულების შემცირება, სახელმწიფო გეგმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულება სოციალისტური შეჯიბრების მთავარი ამოცანაა.

საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციამ სოციალისტური მრეწველობის მუშაკებს გადაუდებელ ამოცანად დაუსახა: **„შევასრულოთ გეგმა არა მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლების მხრივ, არამედ აუცილებლად ხარისხობრივადაც, კომპლექტურად, ასორტიმენტის მიხედვით, დაწესებული სტანდარტების და გეგმით გათვალისწინებული თვითღირებულების დაცვით“.**

ასრულებს რა ლენინ-სტალინის პარტიის ამ საბრძოლო მითითებას, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა განუხრელად მიდის წინ შემდგომი აღმავლობის გზით. ყოველწლიურად იზრდება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა და უმჯობესდება მისი ხარისხი. ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში სულ უფრო და უფრო ფართოდ ჩაღდება მოძრაობა პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის, საწარმოს მარკის ღირსების ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ საბჭოთა ნაწარმი საუკეთესო იყოს მსოფლიოში.

ამ პატრიოტული მოძრაობის თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენს ლიუბლინელი ნოვატორების, სტალინური პრემიის ლაურეატების ა. ჟანდაროვასა და ო. აგაფონოვას შესანიშნავი თაოსნობა თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების დარგში. თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესოდ შესრულება აადვილებს და აჩქარებს მთელ საწარმოო პროცესს, უზრუნველყოფს ყველა ოპერაციის მიხედვით პროდუქციის თვითღირებულების მაქსიმალურად შემცირებას.

რესპუბლიკის ბევრ. საწარმოში მხუთვალე გამოხმაურება და აქტიური მხარდაჭერა ჰპოვა ლიუბლინელთა პატრიოტულმა თაოსნობამ. ამაზე ნათლად მეტყველებს საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს. განსაკუთრებით თვალსაჩინო შედეგებს აღწევენ იქ, სადაც პარტიული, პროფესიული და სამეურნეო ორგანიზაციები ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ შეჯიბრებას, შეუნელებელ ყურადღებას აქცევენ პროდუქციის ხარისხს.

მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან მოპოვებული ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ტყვარჩელის შახტების პარტიული, პროფესიული და სამეურნეო ორგანიზაციები. ისინი სათავეში უდგანან მეშახტეთა ყოველდღიურ ბრძოლას გეგმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულებისათვის. ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოირკვა, რომ მთელი რიგი უბნები შემცირების ნაცვლად ზრდიდნენ ქვანახშირის ნაცრიანობას, არასაკმაოდ იყო გაშლილი ბრძოლა სათბობის მოპოვების ყველა საწარმოო პროცესის საუკეთესოდ შესრულებისათვის. შახტების პარტიულმა, პროფესიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა მიიღეს ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, უზრუნველყვეს დასახულ პრაქტიკულ ღონისძიებათა ბოლშევიკურად განხორციელება. ამის შედეგად უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტყვარჩელის ქვანახშირის ხარისხი.

მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის შეჯიბრების მსვლელობაში წარმოიშვა ისეთი ძვირფასი თაოსნობა, როგორიც არის თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის ნოვატორების ნ. ხარიტონაშვილის, კ. ანდღულაძის, ვ. ჯოხაძისა და მ. კოლოდას წამოწყება. მათი ინიციატივით ფაბრიკაში დაიწყო შეჯიბრება მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. მიუხედავად ამისა, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო ამ შესანიშნავი ინიციატივის მარტოოდენ მოწონებით დაკმაყოფილდა და ქმედითი ზომები არ მიიღო ყველა საწარმოში მისი გავრცელებისათვის. ამავე დროს კი სამინისტროს ბევრ ფაბრიკაში გამოშვებული პროდუქციის ხარისხი ძალიან დაბალია. მაგალითად, ქუთაისის აბრეშუმკომბინატმა გასულ ოთხ თვეში პირველი ხარისხის პროდუქცია ნაცვლად 59,6 პროცენტისა გამოუშვა 53,3 პროცენტი. სახელმწიფო გეგმის ხარისხობრივ მაჩვენებლებს ვერ ასრულებს აგრეთვე სამინისტროს ბევრი სხვა საწარმოც.

ჩვენ რესპუბლიკის მრეწველობამ ერთგვარ წარმატებებს მიაღწია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში, მაგრამ სამრეწველო ნაწარმის ხარისხი მაინც არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მას მომხმარებელი უყენებს. საქართველოს სარეწაო კოოპერაციას დიდი როლი აქვს დაკისრებული ფართო მოხმარების საქონლის წარმოების საქმეში. მაგრამ ბევრი არტელის მიერ გამოშვებული საქონელი ძალიან ცუდი ხარისხისაა. მაგალითად, არაკეთილხარისხოვან ნაწარმს უშვებს არტელი „ქიმლაქსაღებავი“. არტელი „სპორტი“ პირველი ხარისხის ნაცვლად მესამე ხარისხის სასპორტო ფეხსაცმელს ამზადებს. ძალიან ცუდი ხარისხისაა სარეწაო კოოპერაციის არტელების მიერ გამოშვებული ტრიკოტაჟის ნაწარმი. პროდუქციის დაბალი ხარისხი იმას იწვევს, რომ არტელების საწყობებში დიდძალი გაუსაღებელი საქონელი გროვდება. ასეთ მდგომარეობასთან შერიგება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია ისეთი საწარმო, სადაც გეგმებს მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ, მაგრამ არ იცავენ ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროში. მაღაროს საწარმოო კოლექტივმა შეასრულა მარგანეცის ამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების ხუთი თვის გეგმა. მაგრამ საერთო რაოდენობრივ მაჩვენებლებს იქით მნიშვნელოვანი ჩრდილოვანი მხარეები იმალება. საკმარისია აღინიშნოს, რომ დიმიტროველებმა პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადების ხუთი თვის გეგმა 95,6 პროცენტით შეასრულეს. ხარისხისათვის ბრძოლის შესუსტების შედეგად მაღაროს ხუთ თვეში მილიონ მანეთამდე ზარალი მოუვიდა.

გეგმის შესრულება არა მარტო რაოდენობრივად, არამედ დაწესებული ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით — თვითეული საწარმოს უმთავრესი და გადაუდებელი ამოცანაა. საბჭოთა ადამიანები სულ უფრო და უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ჩვენს მრეწველობას გამოშვებული პროდუქციის შემდგომი გაიაფებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების დარგში. საჭიროა მკაცრად ვამხილოთ და გავკიცხოთ ის სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები, რომლებსაც დღემდე ვერ შეუგნიათ, **რომ არაკეთილხარისხოვანი, არაკომპლექტური** პროდუქციის გამოშვება, დაწესებული სტანდარტების დარღვევა, გეგმით გათვალისწინებული ასორტიმენტისა და ნომენკლატურის დაუცველობა ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებაა და მისი მოთმენა ყოვლად დაუშვებელია. მაღალი ხარისხის პროდუქციისათვის, წარმოების მაღალი კულტურისათვის რესპუბლიკის სამეურნეო, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ ბრძოლა. თვითეული საწარმო აუცილებლად უნდა ასრულებდეს სახელმწიფო გეგმას ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით შემდგომ ავამაღლოთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა, განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერება.

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებში ივნისის მესამე ხუთდღიურში მოკრეფილია 1.127,4 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად პირველ ხუთდღიურში მოკრეფილი 834,8 ტონისა. სულ 15 ივნისისათვის სეზონის დაწყებიდან 6.209,5 ტონა ჩაი მოკრიფეს, წლიური გეგმა შესრულებულია 29,2 პროცენტით, ივნისისა წინა თვის დანაკლისის ჩათვლით — 55 პროცენტით.

გონიოს საბჭოთა მეურნეობაში თვიური დავალება შესრულებულია 25,5 პროცენტით, სალიბაურის მეურნეობაში — 62,7, ჩაქვის — 65,9 ოჩხამურის — 56,7, ცეცხლაურის — 54,2, აჩიგვარის — 51, სიდის — 83,1, მოქვის —43,4, ნატანების — 34,5, ლაითურის — 66,2, ნარუჯის — 84,8, ნასაკირალის — 67,5, წულუკიძის — 41,3, დიდიშყონის — 41,2, ლესიჭინის — 35, ინგირის — 41,5, ონარიის — 21,8, ნარაზენის — 40,8, ხეცერის — 51,3, წალენჯიხის — 56,1, ხიბულის—36,4, გეჯეთის — 7 პროცენტით.

საბჭოთა კავშირში

★ ★ ★

სამეცნიერო სესია ენათმეცნიერების საკითხებზე

კიევი, 16 ივნისი. (საკდესი). დღეს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ა. პოტებნიას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დამთავრდა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომების გამოქვეყნების მეორე წლისთავს. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრებმა და წევრმა-კორესპონდენტებმა, აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტების მეცნიერმა თანამშრომლებმა, კიევის უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სასწავლებლების მასწავლებლებმა, მწერლებმა.

სამეცნიერო საბჭოების სამეცნიერო კონფერენციები და გაფართოებული სხდომები, რომლებიც მიეძღვნა ი. ბ. სტალინის შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების“ გამოქვეყნების მეორე წლისთავს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხვა ინსტიტუტებშიც გაიმართა.

გორკის მუზეუმი სოფელში

მანუილოვკა (პოლტავის ოლქი), 16 ივნისი. (საკდესი). ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ აქ ცხოვრობდა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი. მოსახლეობას ახსოვს დიდი მწერლის ნათელი სახე. თხუთმეტი წლის წინათ გორკის სახელობის არტელის კოლმეურნეთა ინიციატივით აქ შეიქმნა ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, სადაც შეკრებილია მასალები პროლეტარული ლიტერატურის ფუძემდებლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ერთ-ერთი განყოფილების ექსპონატები მოგვითხრობენ მანუილოვკაში მწერლის ცხოვრებასა და მუშაობაზე. აქ ალექსი მაქსიმეს-ძემ მოაწყო სახალხო თეატრი, მომღერალთა სასოფლო გუნდი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

მუზეუმის მუშაკებმა ამას წინათ სოფლის კლუბში და საშუალო სკოლაში გახსნეს ა. მ. გორკისადმი მიძღვნილი მოძრავი გამოფენები. აგიტატორები აწყობენ საუბრებს ბრიგადებსა და ფერმებში, მართავენ დიდი მწერლის ნაწარმოებთა ხმამაღლა კითხვას.

დ. ნ. პრიანიშნიკოვის სახელობის პრემიის მინიჭება

მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ განიხილა აკადემიკოს დ. ნ. პრიანიშნიკოვის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი შრომები. ეს პრემია ყოველწლიურად ენიჭება საუკეთესო ნაშრომებისათვის აგროქიმიის, სასუქის წარმოებისა და გამოყენების დარგში.

დ. ნ. პრიანიშნიკოვის სახელობის პრემია 1951 წლისათვის მიენიჭა მოლოტოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ ვ. ნ. პროკოშევს წიგნისათვის: „კორდიან - ეწეროვანი ტიპის ქვიშიანი ნიადაგების ნაყოფიერების გადიდება“. (საკდესი).

მაღნის ამოღების მექანიზაცია

მარგანეცი (დნეპროპეტროვსკის ოლქი), 16 ივნისი. (საკდესი). მარგანეცის აუზის მეშახტეები იბრძვიან პირველობისათვის ჭიათურელ მაღაროელებთან შეჯიბრებაში. ვოროშილოვის სახელობის მაღაროს შახტებში გაჩაღდა ბრძოლა ყველა შრომატევადი პროცესის მექანიზაციისათვის. გვირაბებში გაჩნდა ელმავლები, დამტვირთავი და მომნგრევ-დამტვირთავი მანქანები, ტრანსპორტერები. ბევრ უბანზე მთელი მადნის სამ მეოთხედს იღებენ, ტვირთავენ და ამოაქვთ მექანიზმების საშუალებით.

მაღაროელები წარმატებით ეუფლებიან ახალ ტექნიკას. მაღაროში სტახანოვური გამომუშავებით განთქმული არიან მიწისქვეშა ელმავლების მემანქანეები ალექსი მუზიკინი და პავლე ბონდარენკო. მათ ცვლაში დამატებით გადააქვთ 200-300 ტონა მადანი. ბორის მიხაილიკი, ვასილ ვალიშინეცი, რომლებსაც საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა აქვთ დამთავრებული, ერთნახევარ პროგრესიულ ნორმას ასრულებენ ტრანსპორტერებით.

მაღაროს ოთხ შახტში მუშაობენ მომნგრევ - დამტვირთავი მანქანები, რომლებმაც შეცვალეს მნგრეველთა და მენიჩბეთა შრომა. ეს მანქანები, კონსტრუირებული და დამზადებულია მაღაროში. სტახანოვურ სკოლაში მაღაროელებმა შეისწავლეს მემანქანეობა. პოლიაკოვის გამოცდილება, რომელმაც მომნგრევ-დამტვირთავი მანქანის დიდ წარმადობას მიაღწია.

შრომატევადი პროცესების მექანიზაციის მეოხებით № 19, № 11, № 14 შახტები ყოველდღიურად ყოველ მეოთხე ტონა მარგანეცს გეგმის გადამეტებით იღებენ. დღეს მეცხრამეტე შახტის კოლექტივმა ნახევარი წლის დავალება შეასრულა. ათი დღეა ივლისის ანგარიშში იღებენ მადანს № 11 შახტის მაღაროელები.

მანქანები სოფლის მეურნეობისათვის

კიროვოგრადი, 16 ივნისი. (საკდესი). კიროვოგრადის ქარხანა „კრასნაია ზვეზდა“ მოლდავეთში, უაზახეთში, კრასნოდარის მხარეში, უკრაინის სამხრეთ ოლქებში და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში ყოველდღე გზავნის საშემოდგომო თესვისათვის საჭესი მანქანების დიდ პარტიებს. მათ შორის არის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის სათესი და ტყის სარგავი მოდერნიზებული მანქანები.

ქარხანაში კონსტრუირებულია ახალი ტრაქტორის მარცვალსათესი. იგი აღჭურვილია მექანიზმით, რომლის საშუალებით ერთსა და იმავე დროს ხდება სარწყავი არხების გაჭრა და ნიადაგის გასწორება. მანქანის წარმადობაა 15-16 ჰექტარი 10 სამუშაო საათში.

მომდინარე წელს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ქარხანა „კრასნაია ზვეზდასაგან“ მიიღებენ შარშანდელზე 18 პროცენტით მეტ მანქანებს.

ბაღები და აგარაკები ვოლგის ნაპირზე

კუიბიშევი, 14 ივნისი. (საკდესი). ქალაქის ათასობით მშრომელი ზაფხულს ატარებს თვალწარმტაც საგარაკო ადგილას ვოლგის ნაპირზე მწვანე ტყეებსა და ხეხილის ბაღებში. აქ გაიხსნა დასასვენებელი სახლები „უდარნიკი“, „სტახანოველი“, „ვოლგა“ და ჯანმრთელობის სხვა პროფკავშირული კერები. ლამაზ სახლებში მოთავსდა პიონერთა მრავალი ბანაკი. მთელ ზაფხულს აქ გაატარებენ საბავშვო სახლები, საბავშვო ბაღები და ბაგები თავიანთ აღსაზრდელებიანად.

ქალაქ კუიბიშევის ბაღ-აგარაკთა ზონა გადაჭიმულია 10 კილომეტრზე მეტ მანძილზე ვოლგის ნაპირას. აქ 120 დიდი სახელმწიფო აგარაკია.

ამ ადგილას ფართოდ ჩაღდება ინდივიდუალური საგარაკო მშენებლობა. მუშებმა, მოსამსახურეებმა, პენსიონერებმა 2.500-ზე მეტი აგარაკი ააგეს. შენდება კიდევ 1.500 ინდივიდუალური აგარაკი.

საგარაკო ნაკვეთებში წარმატებით კითარდება მებაღეობა. სამი წლის განმავლობაში ხეხილ-კენკრის ნარგავთა ფართობი ერთიორად და მეტად გაიზარდა და ამჟამად 720 ჰექტარს აღწევს.

საგვირთო მოძრაობა ვოლგა-დონის არხზე

კრასნოარმეისკი (სტალინგრადის ოლქი), 14 ივნისი (საკდესი). ვოლგის მხრიდან დაიწყო ტვირთზიდვა ვოლგა-დონის სანაოსნო არხით. დონბასისათვის ურალის ხე-ტყით დატვირთული კარჭაპი სტალინგრადიდან აზოვის ზღვაში წაიყვანა გემმა „აკადემიკოსი ვინშინსკი“. დღეს დილის 10 საათზე გემმა გაიარა ჰიდრონაგებობათა ჩაპურნიკის კასკადი და წყალგამყოფს მიაღწია.

არხის ჭრილზე

დონის კალაჩი (სტალინგრადის ოლქი), 16 ივნისი. (საკდესი). დღეს ვოლგიდან დონში შევიდა გემთა კიდევ ორი ქარავანი. ისინი მოიყვანეს თბომავლებმა „აკადემიკოსმა ვინოგრადოვმა“ და „აკადემიკოსმა ასაფიევმა“. არხის ტრასს გაივლის კიდევ კარჭაპებისა და დებარკადერების ხუთი ქარავანი.

თბომავალი „ბტ № 306“, რომელიც პირველი მოვიდა ვოლგიდან კალაჩის ნავსადგურში, უკვე დაბრუნდა კრასნოარმეისკში. იქიდან კაპიტანმა ამხ. იგნატიევმა წამოიყვანა კარჭაპების ახალი ქარავანი და არხით დონისაკენ მოდის. ეს მისი მეორე რეისია არხის ტრასზე.



როსტოვის ოლქი. ციმლიანსკის ზღვა მუშათა დაბა ციმლიანსკის რაიონში.

ფოტო ლ. პორტერისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ხორბლის უხვი მოსავალი ჩინეთში

პეკინი, 16 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ დღეს იუწყება, რომ ხორბლის აღება მთელ ჩინეთში ძირითადად დამთავრებულია. მეტწილ რაიონებში მიღებულია უხვი მოსავალი. წინასწარი ცნობებით, ხორბლის საერთო მოსავალი წელს 15 პროცენტით სჭარბობს შარშანდელს. ხორბლის ნათესთა ფართობი შარშანდელთან შედარებით გადიდებულია 6 პროცენტით, ხოლო საშუალო მოსავალი თვითეულ მუზე 1951 წელთან შედარებით 8 პროცენტით გადიდდა.

ხორბლის მეტად უხვი მოსავალი მიღებულია პინიუანის პროვინციაში, სადაც მან შარშანდელს 38 პროცენტით გადააჭარბა. სახელმწიფო მეურნეობებმა და ცალკეულმა გლეხებმა ამ პროვინციაში მუზე (1 მუ უდრის 1/16 ჰექტარს) 400-დან 900-მდე ძინი ხორბალი მიიღეს (1 ძინი უდრის 0,6 კილოგრამს).

უნგრეთის ელექტროფიკაცია

ბუდაპეშტი, 14 ივნისი. (საკდესი). ხუთწლედის (1950 წ.-1954 წ.) ბოლოს უნგრეთის ელექტროენერგიის წარმოება ორჯერ ეს სახალხო რესპუბლიკაში ომამდელ დონეს 5-ჯერ გადააჭარბებს. ელექტროფიცირებულ იქნება უნგრეთის ყველა სოფელი. ხუთწლედის ორი წლის მანძილზე განხორციელდა 284 სოფლის, 145 სახელმწიფო მეურნეობის, 121 სამიწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივის, 63 მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ელექტროფიკაცია.

ამჟამად გაძლიერებული ტემპით წარმოებს ახალ ელექტროენერგეტიკულ ნაგებობათა მშენებლობა. მდინარე ტისაზე შენდება ტისალეკის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ყოველწლიურად 55 მილიონზე მეტ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ინოტში შენდება 7 ნოემბრის სახელობის მძლავრი ელექტროსადგური, რომლის აგრეგატთა ნაწილი დენს უკვე იძლევა.

საბინაო მშენებლობა ბულგარეთში

სოფია, 16 ივნისი. (საკდესი). ბულგარეთში ფართოდ გაჩაღდა საბინაო მშენებლობა მშრომელებისათვის. მხოლოდ უკანასკნელ ორ წელიწადში სამრეწველო საწარმოთა მუშებმა მიიღეს თითქმის ნახევარი მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. უფრო მეტი მასშტაბით წარმოებს საბინაო მშენებლობა წელს. მაგალითად, სოფიაში ერთსა და იმავე დროს შენდება 50-ზე მეტი დიდი საცხოვრებელი კორპუსი, რომლებიც დედაქალაქის საცხოვრებელ ფართობს 1.205 ბინით გაადიდებენ.

საბინაო მშენებლობა ხორციელდება დიმიტროვგრადში, პლოვდივში, სლივენში, პლევნაში, რუსაში და ბულგარეთის სხვა დიდ სამრეწველო ცენტრებში.

აგიტატორთა სემინარი

ტყიბული. (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომმა მოაწყო ტყიბულქვანახშირისა და ტყიბულშახტმშენის ტრესტების შახტებსა და სამშენებლო ობიექტებზე მომუშავე აგიტატორების ორდღიანი სემინარი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს რაიკომის მდივნის ამხ. ნ. ტაბატაძის მოხსენება — „ქვანახშირის 1952 წლის გეგმის შესრულების საქმეში აგიტატორთა ამოცანების შესახებ". სამთო ინჟინერმა ი. მესარქიშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე „ტყიბულის ქვანახშირის გაუხვება", პედაგოგმა ბ. ახვლედიანმა — „სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის შესახებ", რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ტ. ბრეგაძემ — „წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდები" და სხვ.

ლენინის სახელობის შახტის აგიტატორებმა გ. ჯიბლაძემ, გ. კობახიძემ და სხვებმა სემინარის მონაწილეებს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება.

პარჯიული სკოლის კურსდამთავრებულთა გამოშვება

ქუთაისი. (საკ. კორ.). მუშაობა დამთავრა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომთან არსებულმა საღამოს 2-წლიანმა პარტიულმა სკოლამ, რომელშიც ძირითადად გაერთიანებული იყვნენ პარტიული ორგანიზაციების მდივნები, მათი მოადგილეები და სხვ.

მსმენელებმა შეისწავლეს პარტიის ისტორიის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხები.

ხაშური. (საკ. კორ.). რამდენიმე დღის წინათ მოხდა საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომთან არსებული ორწლიანი პარტიული სკოლის კურსდამთავრებულთა გამოშვება. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სკოლა დამთავრა 24 ამხანაგმა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის, მსოფლიო ეკონომიური და პოლიტიკური რუკის, საბჭოთა მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხების საფუძვლიანი ცოდნა გამომაქლავნეს პარტიული სკოლის მსმენელებმა მ. გოგნიაშვილმა, გ. დარსაქელიძემ, დ. ნონიაშვილმა, მ. ნოზაძემ, ს. ძინძიბაძემ და სხვებმა.

ძირეული პრესის მუშაკთა და აგიტატორთა თათბირები

ქასპი. (საკ. კორ.). პარტიის ქასპის რაიკომმა მოსავლის აღებისათვის მზადებასთან დაკავშირებით მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე მოაწყო ძირეული პრესის მუშაკებისა და აგიტატორების ზონალური თათბირები. თათბირები გაიმართა ქვემო ჭალაში, ქვემო გომში, ქასპში, კავთისხევში. მოხსენებები გააკეთეს რაიკომის მდივნებმა, განყოფილებათა გამგეებმა და რაიონული გაზეთის რედაქტორმა.



ბორი. ახალსოფლის მტს-ის კომბაინერმა მაყიშვილმა კომბაინი ვადაზე ერთი თვით ადრე შეაკეთა. **სურათზე:** მექანიკოსი ყარამან ბრეგვაძე (მარცხნივ), კომბაინერი ფირუზ მაყიშვილი და მეშტურვალე ალექსანდრე ქურთაული ადგენენ რემონტის ხარისხის შემოწმების აქტს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ქუთაისის ჯუესაცავ სადგურში

სამი წლის წინათ სოფელ გეგუთის მახლობლად შეიქმნა ტყესაცავი სადგური, რომელსაც საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია უჭირავს. აქ ბევრია სხვადასხვა დანიშნულების დაწესებულება. აგებულია მრავალოთახიანი კანტორა, მუშათა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, მექანიკური სახელოსნოები, სასადილო, მაღაზია, აბანო, საფოსტო განყოფილება.

დილით ადრე ოღვიძებს ტყესაცავი სადგური. ტყის ორასზე მეტი გამშენებელი ენერგიულად შრომობს სხვადასხვა ნარგავის გასაშენებლად. დიდი მზრუნველობით რგავენ ევკალიპტს, ფიჭვს, კრიპტომერიას, კეიპაროსს, ვერხვს, აკაციას.

ყველაზე წინ არის მესამე საწარმოო უბანი, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ინჟინერი-მეტყევე ნ. კიკნაძე. ამ უბანს თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონებში გასაშენებელი აქვს 224 ჰექტარი ტყე. გათვალისწინებულია თვითეულ ჰექტარზე დაირგოს 6.000 ძირი ხე. ქარსაფარი ზოლის სიგრძეა 33 კილომეტრი, სიგანე — 60 მეტრი.

ნიადაგის მომზადებასა და რგვის საქმეში თავი ისახელეს მინა ფერაძემ, იაშა აბულაძემ, თინა სირბილაძემ, ერმილე და დავით კაკრიაშვილებმა და სხვებმა. მათ შორის ბევრნი არიან გუშინდელი კოლმეურნენი, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიიღონ ამ საშვილიშვილო, კეთილშობილურ საქმეში.

ბეჯითი შრომით თავი გამოიჩინა ხანშიშესულმა კ. ცხადაძემ. იგი ყოველდღე ხუთას-ექვსას ძირ მცენარეს რგავს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 450 ძირისა. მოხუცის მხარდამხარ მუშაობს მისი შვილი გიორგი, რომელიც გადაჭარბებით ასრულებს რგვის დავალებას.

შრომის საუკეთესო ნიმუშს იძლევა უბნის ტრაქტორისტი ტარიელ ლორთქიფანიძე, რომელმაც გასული წლის შემოდგომაზე 134 ჰექტარი მიწა მოხნა და 2.700 კილოგრამი საწვავი დაზოგა. ახლა იგი წარმატებით მონაწილეობს რგვის სამუშაოებში.

საწარმოო უბნების მუშაობას დიდად უწყობს ხელს სადგურის მოძრავი სახელოსნო. სახელოსნოს სპეციალისტთა შორის უმრავლესობა ახალგაზრდობაა. პ. ლელაძე, კ. შავლიაშვილი, ს. მაჩალაძე, ვ. ლომთაძე და სხვები გეგმას 200-300 პროცენტით ასრულებენ.

მაგრამ ყველაფერი ის, რაც სადგურს დღემდე გაუკეთებია, საკმარისი არ არის. მის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია.

ქუთაისის ტყესაცავი სადგურის ზონაში 8 რაიონი შედის. ამიტომ ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მუშაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მანქანები კი არასაკმაოა. ამასთან მათი უმრავლესობა უვარგისია. მუშაობა სისტემატურად ფერხდება.

სადგურის ზოგიერთი საწარმოო უბანი ხშირად არის ჩამორჩენილი მუშაობაში. მაგალითად, პირველი (უფროსი ი. დეკანოსიძე) და მეოთხე (უფროსი გ. ბაქრაძე) უბნები სისტემატურად ვერ ასრულებენ რგვის დავალებებს. ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობა. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა საერთო საცხოვრებლებში. ეს განსაკუთრებით ითქმის საწარმოო უბნებში არსებულ საერთო საცხოვრებლებზე. სადგურის ტერიტორიაზე აგებულ საერთო საცხოვრებელში, სადაც ორასამდე კაცი ცხოვრობს, დღემდე ვერ მოხერხდა საექიმო პუნქტის გახსნა. ამაში ბრალი მიუძღვის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსაც, რომელმაც სადგურის მრავალი მოთხოვნა უყურადღებოდ დატოვა.

აღნიშნული ნაკლოვანებანი სწრაფად უნდა გამოვასწოროთ და მთელი ენერგიით გავაჩაღოთ მუშაობა ტყის გაშენების სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესასრულებლად.

გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

უკანასკნელი ფოსტა

„შეჯიბრების ინიციატორებთან"

ქართველმა კოლმეურნეებმა ენერგიული ბრძოლა გაიჩაღეს ხორბლეულის უდანაკარგოდ აღებისათვის. მაისის ბოლო რიცხვებში წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული თათბირის მონაწილეებმა თბილისის ოლქის კოლმეურნე გლეხობას, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მიმართეს წინადადებით ხორბლეულის უდანაკარგოდ აღებისა და პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესასრულებლად სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

გაზეთმა **„გამარჯვებამ"** (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო) მიმდინარე წლის 15 ივნისის ნომერში ამ საკითხს მიუძღვნა მთელი გვერდი საერთო სათაურით: „შეჯიბრების ინიციატორებთან".

გვერდში მოთავსებულია საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივნის მ. ციხისთავის, ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ა. კობაიძის, კომბაინერების: ბ. ჩოხელის, მ. დარჩიაშვილის, ივანე და ნიკოლოზ მელიქიშვილების, გ. დოლიძის, ს. ბუჭყურაშვილის და ა. გიგოლაშვილის წერილები. თავიანთ წერილებში ისინი მოგვითხრობენ იმ დიდ მოსამზადებელ მუშაობაზე, რასაც წითელწყაროელები ეწევიან ხორბლეულის უდანაკარგოდ აღებისათვის. წითელწყაროს მტს-ის კომბაინერი მ. დარჩიაშვილი წერს:

„ეკისრებულობ „სტალინეც-6" მარკის კომბაინით მოხავალი ავიღო 400 ჰექტარზე და ამ ფართობზე აღებული მოსავლიდან გავლეწო 8.000 ცენტნერი ხორბალი, ამასთან დავზოგო 400 კილოგრამი საწვავი. ვალდებულების პირნათლად განაღდებაში აქტიურად დამეხმარებიან აგრეგატის ტრაქტორისტი ტიმოთე პარშუოკი და მეშტურვალე — ჩემი შვილი იოსები, რომელიც მეოთხე წელია, რაც ამ საპატიო პროფესიას დაეუფლა".

ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. კობაიძე მოგვითხრობს:

„უხვი მოსავლის აღებას ყოველმხრივ მომზადებული ვხვდებით. შედგენილი გვაქვს სამუშაო გეგმა, რომელშიც ყველაფერი დაწვრილებით არის გათვალისწინებული. ჩვენს ნაკვეთებში მომუშავე შირაქის მტს-ის კომბაინების აგრეგატების სანიმუშო მომსახურებისათვის გამოვყავით საჭირო რაოდენობით მუშახელი, 16 ავტომანქანა, 60 ურემი ბუნკერებით, 16 ფურგონი და 24 ორთვალა. კოლმეურნეთა მთელი ძალები გამოყენებულ იქნება მოსავლის აღებაზე".

გვერდის მასალები უთუოდ კარგ სამსახურს გაუწევს თბილისის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკებს ხორბლის მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღების საქმეში.

დახმარება მრავალშვილიან დედებს

ცხაკაია. (საკ. კორ.). დიდი დახმარება მიიღეს შარშან მრავალშვილიანმა და მარტოხელა დედებმა. წელს ოთხ თვეში მათ დახმარების სახით მიეცათ 265.118 მანეთი. სოფელ შხეფის კოლმეურნეობის წევრმა, მრავალშვილიანმა დედამ აგრაფინა გრიგოლავამ მიიღო 19.400 მანეთი, ლ. გოგიამ — 11.600 მანეთი, ა. ცანავამ — 13.150, ვ. ნინუამ — 11.650 მანეთი და ა. შ.

ვებრძოლოთ ხელგაშლილობას, მაამებლობასა და შინაგარეულ გაანწყობილებას

1951 წლის ივნისში ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველის ამხ. შ. შეყლაშვილის ბრძანებით ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველის მოადგილედ მუშათა მომარაგების დარგში დროებით დაინიშნა აკაკი ნესტორის-ძე ცქიტიშვილი.

ამით დაიწყო ა. ცქიტიშვილის ჭიათურაში „მოღვაწეობის" ახალი პერიოდი (იგი ომამდეც მუშაობდა ჭიათურაში და არც თუ ისე პატიოსნად!).

ა. ცქიტიშვილს ერთი წელიც არ დაუყვია აღნიშნულ თანამდებობაზე, რომ უკვე მოასწრო გარკვეული ღანაშაულის ჩადენა. მან ისარგებლა ტრესტის მმართველის ამხ. შეყლაშვილის ხელგაშლილობით და საცხოვრებელი ოთახი სასტუმროში დაიკავა, რისთვისაც ქირას მუშათა მომარაგების განყოფილება იხდიდა თვეში 930 მანეთს. ასე არაკანონიერად უკვე გადახდილია 3.143 მანეთი, როდესაც ტრესტს შესაძლებლობა ჰქონდა ოთახი მიეცა ა. ცქიტიშვილისათვის.

ცქიტიშვილმა მუშათა მომარაგების განყოფილების მთავარ ბუხჰალტრად ზესტაფონიდან მოიყვანა თავისი მეგობარი ა. თაბაგარი, რომელიც მსჯავრდადებულია. ეს კარგად იცოდნენ ა. ცქიტიშვილმაც და ტრესტის ხელმძღვანელმა მუშაკებმაც, მაგრამ ურთიერთმაამებლობის გზას დაადგნენ და ა. თაბაგარი ჭიათურაში შეიფარეს.

1951 წლის ნოემბერში ა. ცქიტიშვილმა საქვაჭრობის ზესტაფონის განყოფილებას თითქოს სესხად გაატანა სამი ტონა კარტოფილი და 500 კილოგრამი ნიორი. სინამდვილეში კარტოფილსა და ნიორზე ფაქტურა გამოწერეს და ფული გადაიხადეს.

ცქიტიშვილი ზესტაფონელ ნაცნობმეგობრებს განსაკუთრებულ პატივს სცემს. მან № 23 მაღაზიას დაუწერა ერთი ტონა კარტოფილი და 100 კილოგრამი ხახვი, თითქოს ეს პროდუქტები მაღაზიაში გაიყიდა, ნაშდვილად კი ისინი ზესტაფონელმა ორმა მოქალაქემ წაიღო. ცქიტიშვილის უკანონო განკარგულებებით საწყობიდან არადანიშნულებისამებრ გაცემულია 4 ტონა კარტოფილი და ასეულ კილოგრამობით სხვა ბოსტნეული და პროდუქტები. ამბობენ, ამ ოპერაციებით ცქიტიშვილი ხელს ითბობსო. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც მუშათა მომარაგების განყოფილებამ 500 ტონა კარტოფილის ნაცვლად მხოლოდ 114 ტონი შემოზიდა.

ტრესტის მმართველობის გულუხვობით ა. ცქიტიშვილმა გასული წლის სექტემბერში სახელმწიფოს წაგლიჯა 3.721 მანეთი, როგორც ზესტაფონიდან ჭიათურამდე „გადმოსაყვანი" ხარჯები, თუმცა იგი ზესტაფონში ბუხჰალტრად მუშაობდა და კი არავის გადმოუყვანია, არამედ ახალ სამუშაოზე დანიშნეს.

ცქიტიშვილმა ჭიათურაში ჩამოსვლისთანავე ჩამოიყვანა ზესტაფონელი მეგობარი, მეკასრე შ. კეთილაძე, რომელსაც შეაკეთებინა ძველი კასრები, დაამზადებინა ხუთი ახალი კასრი (ჩანი). ამ გზით კეთილაძემ ორ დამხმარე ხელოსანთან ერთად რაღაც ორ კვირაში ხელფასად მიიღო 16.728 მანეთი. აღნიშნული კასრების ღირებულება ბუხჰალტერიაში გაფორმებულია 23.000 მანეთად, რაც, უსათუოდ, დიდად ამეტებს რეალურ ციფრს.

ცქიტიშვილის დანაშაულობათა შესახებ სიგნალები შევიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტში. ბიურომ იანვარში განიხილა მისი საკითხი, პარტიული სასჯელი დაადო და დაავალა დაწესებულებისათვის დაებრუნებინა სასტუმროს ქირად გადახდილი თანხა, მაგრამ ეს დადგენილება დღესაც არ არის შესრულებული.

ცქიტიშვილს სხვა დარღვევებიც აქვს. მან საქვაჭრობას გადასცა რესტორანი, რომლის დიდძალი ინვენტარი განიავდა და გაფუჭდა; ამან ათეულ ათასობით მანეთის ზარალი გამოიწვია. ცქიტიშვილის ხელისშეწყობითა და წაყრუებით უწესრიგობაა ავტოტრანსპორტის გარაჟში, სადაც ზედმეტად ხარჯავენ ბენზინს, არადანიშნულებისამებრ იყენებენ მანქანებს.

სამარცხვინოდ მუშაობს საქვაჭრობის ჭიათურის განყოფილებაც. მის მმართველად საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. პ. პეტრიაშვილის რეკომენდაციით ამხ. ირ. ჩაჩანიძე მუშაობდა. ძან აპარატსა და ქსელში მოაწყო ნასამართლევი და ეჭვმიტანილი პირები. თავის მოადგილეებად კომბინაციებში გაქნილ ადამიანებს არჩევდა. დავასახელებთ ერთ პატარა ფაქტს. ი. ჩაჩანიძემ თბილისიდან ჭიათურაში ჩამოიყვანა და სასადილოს გამგედ დანიშნა ვინმე ვ. გრელიშვილი. ამხ. ჩაჩანიძემ კარგად იცოდა, რომ გრელიშვილი გამფლანგველია. ვ. გრელიშვილმა ჭიათურაშიც მიითვისა რამდენიმე ათასი მანეთი და მიიმალა... საერთოდ სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-განიავებამ საქვაჭრობის ჭიათურის განყოფილებაში ასეული ათასობით მანეთს გადააჭარბა, საქვაჭრობის ხელმძღვანელობა და ადგილობრივი ორგანიზაციები კი ამას ბოლო დრომდე რატომღაც ვერ ამჩნევდნენ. თბილისიდან ჩამოსული და ადგილობრივი რევიზორ-ბუხჰალტრები ჩირაძე, რუსიშვილი, ხურციძე და სხვები არათუ არ ამჟღავნებდნენ გამფლანგველებს, არამედ ხელსაც კი უწყობდნენ მათ და კომბინაციებს ჩქმალავდნენ.

გასული წლის 5 ნოემბრის ბრძანებით საქვაჭრობის დირექტორმა ამხ. ბეგიშვილმა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ჩაშლის, ზარალისა და მიმოქცევის ხარჯების გადახარჯვისათვის ჭიათურის განყოფილების მმართველი ი. ჩაჩანიძე გადაყენა თანამდებობიდან, ხოლო 1952 წლის 26 მარტის ბრძანებაში ვკითხულობთ: „საკითხი ჩაჩანიძის მოხსნისა და პასუხისგების შესახებ დაისვას განსახილველად საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტში". რამდენადაც ვიცით, ეს საკითხი საქალაქო კომიტეტში დღემდე არ დასმულა.

სავაჭრო ორგანიზაციებში ამჟამადაც არ არის ყველაფერი რიგზე. ამიტომ აუცილებელია პარტიის საქალაქო კომიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს ვაჭრობის მუშაკთა შერჩევას, აღზრდას და დაწინაურებას, დაუნდობლად იბრძოლოს მავნე ხელგაშლილობის, ურთიერთმაამებლობისა და შინაურული განწყობილების წინააღმდეგ, ყველა ომათ წინააღმდეგ, ვინც ხელყოფს სოციალისტურ საკუთრებას, სახალხო დოვლათს.

ჯ. ბიოკაძე,
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

ხალხთა ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის!

„პრავდის" 17/VI მოწინავე

დედამიწაზე არ არის ისეთი კუთხე, სადაც არ გაისმოდეს ხალხთა მრისხანე ხმა, რომლებიც სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ამერიკელ იმპერიალისტებს, ახალი ომის გამჩაღებლებს.

ყველგან — სოციალიზმისა და დემოკრატიის დიდი ბანაკის ქვეყნებში, დასავლეთ ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში — კეთილი ნების ასეულ მილიონობით ადამიანი პროტესტს აცხადებს კორეაში ამერიკელ დამპყრობთა სისხლიანი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი აღშფოთებულია ამერიკის სამხედრო ხროვის საზარელი მხეცობით, რომელმაც გამოიყენა ბაქტერიოლოგიური იარაღი, ნაპალმი და ომის სხვა ბარბაროსული საშუალებანი, რომელიც უმაგალითოდ აწამებს და ტანჯავს სამხედრო ტყვეებს კუნძულ კოჯედოზე.

დედამიწის ყველა კუთხეში მშვიდობის მომხრენი მტკიცედ მოითხოვენ კაცობრიობის ბოროტი მტრების ხროვის ალაგმვას, მათი დანაშაულებრივი გეგმების ჩაფუშვას.

გერმანიაში გერმანელი ხალხის ფართო ფენები იბრძვიან იმპერიალისტთა ბონის სამხედრო შეთანხმების წინააღმდეგ, გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობისათვის. საფრანგეთის მშრომელები აჩაღებენ მასობრივ კამპანიას ჟაკ დიუკლოს, ანდრე სტილისა და სხვა პატრიოტთა განთავისუფლებისათვის, რომლებიც უკანონოდ დააპატიმრეს რეაქციონერებმა ვაშინგტონის კარნახით. იტალია მოიცვა მძლავრმა საპროტესტო სახალხო მოძრაობამ ომის გამჩაღებლის, „შავი ჭირის გენერლის" რიჯუეის ჩასვლის წინააღმდეგ.

ამას წინათ ინგლისში გაიმართა მსხმელთა გაერთიანებული პროფკავშირის ყოველწლიური კონფერენცია ბლეკპულში. კონფერენციამ წამოაყენა მოთხოვნა — აიკრძალოს გერმანიისა და იაპონიის შეიარაღება, აიკრძალოს ყველა სახეობის ატომური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური და ნაპალმის იარაღი. მშვიდობის დაცვის ბრაზილიის ეროვნულმა კომიტეტმა მოაწყო ამერიკელ აგრესორთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების წინააღმდეგ ბრძოლის დეკადა. ამ უკანასკნელ დღეებში გამართულმა მშვიდობის მომხრეთა კონფერენციამ ოსლოში და ლაპლანდიის (ფინეთი) მშვიდობისათვის მებრძოლთა კონფერენციამ ცხადყვეს, რომ სკანდინავიის ქვეყნებში მშვიდობის ძალები უფრო აქტიური ხდებიან და ირაზმებიან.

ყველა ქვეყნის და კონტინენტის მილიონობით ქალი და კაცი დღითიდღე სულ უფრო მეტად რწმუნდება, რომ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველი რიგის ამოცანაა ბრძოლა ახალი მსოფლიო ომის ამერიკელ იმპერიალისტ გამჩაღებელთა დანაშაულებრივი გეგმებისა და მოქმედების წინააღმდეგ, რომ მშვიდობისმოყვარე კაცობრიობას არა ჰყავს ამერიკის ავაზაკური იმპერიალიზმზე უფრო ბოროტი და საშიში მტერი.

უკვე ორი წელია ამერიკელი აგრესორები ეწევიან დამპყრობლურ, მძარცველურ ომს თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც მამაცურად იცავს თავისი სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ამაოდ ცდილობენ რა განახორციელონ თავიანთი ბოროტი გეგმები, ამერიკელი იმპერიალისტი ავაზაკები კორეის მიწა-წყალზე სჩადიან უმაგალითო ბოროტმოქმედებას, რომელიც ჰიტლერელი ჯალათების მხეცობასაც კი აჭარბებს.

ცდილობენ რა გააჩაღონ ახალი ომის ხანძარი, ატლანტიკის ბლოკის მესვეურები გაძლიერებით აღორძინებენ აგრესიისა და ფაშიზმის კერებს გერმანიისა და იაპონიის ზონაში. ამერიკის იმპერიალიზმის მიერ იაპონიისა და დასავლეთ გერმანიისათვის თავსმოხვეული სეპარატული სამხედრო ხელშეკრულებანი წარმოადგენენ იმპერიალისტ აგრესორთა ახალ ნაბიჯს ომის მომზადებისა და გაჩაღების საქმეში.

მოვლენათა განვითარების მთელი მსვლელობა ხალხებს თვალნათლივ უჩვენებს, რომ ამერიკის იმპერიალიზმი ემუქრება მთელი კაცობრიობის სიცოცხლესა და კეთილდღეობას, რომ ამ საფრთხის თავიდან აცილება, მშვიდობის შენარჩუნება შეიძლება მხოლოდ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ერთიანი მოქმედებით, მამაცი და მტკიცე ბრძოლით მშვიდობის მტრების ხრიკებისა და ფანდების წინააღმდეგ.

ასეულ მილიონობით ადამიანს გულში ღრმად ჩასწვდა ამხანაგ სტალინის ბრძნული სიტყვები, რომლებიც გვისახავენ ომის საფრთხის თავიდან აცილების სწორ გზას:

„მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას. ომი შეიძლება გარდუვალი გახდეს, თუ ომის გამჩაღებლები მოახერხებენ სიცრუის ქსელში გახვევნ ხალხის მასები, მოატყუონ ისინი და ახალ მსოფლიო ომში ჩაითრიონ.

ამიტომ ფართო კამპანიას მშვიდობის შენარჩუნებისათვის, როგორც ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი მაქინაციების გამოაშკარავების საშუალებას, ახლა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს".

ხალხთა მოძრაობა მშვიდობის დაცვისათვის დღითიდღე იზრდება, სულ უფრო აქტიურ და ქმედითს ხასიათს იღებს.

მშვიდობის დაცვისათვის საერთაშორისო მოძრაობის გაფართოებასა და განმტკიცებაში ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მომწვევი მოსამზადებელი კონფერენცია, რომელიც ამას წინათ გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ პეკინში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 20 ქვეყნის წარმომადგენლებმა.

კონფერენციამ გამოხატა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ხალხთა სულ უფრო მზარდი მისწრაფება მშვიდობისადმი, მზარდი სიძულვილი იმპერიალისტ ომის ცოცხალი, რომელიც ამერიკის მმართველმა წრეებმა გააჩაღეს კორეაში, მოსდოს აზიის ყველა ქვეყანას, მთელ მსოფლიოს.

„...დღეს, — ნათქვამია მოსამზადებელი კონფერენციის მოწოდებაში, — აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების 1.600 მილიონი ადამიანის კეთილნებას თავს დასტრიალებს ომის საშინელი საფრთხე... არ შეიძლება ვისხდეთ და ველოდოთ მშვიდობას, საჭიროა მშვიდობისმოყვარე ადამიანები დაირაზმონ და ბრძოლით მოიპოვონ მშვიდობიანი ცხოვრება". მშვიდობის დაცვის მოძრაობის გაფართოებისა და გაძლიერების მიზნით კონფერენციამ გადაწყვიტა 1952 წლის სექტემბერში მოიწვიოს პეკინში აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესი.

ივლისის დამდეგს ბერლინში მოწვეულ იქნება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია, რომელიც განიხილავს საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში ამჟამად მდგომ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიც არის: გერმანიისა და იაპონიის საკითხების მშვიდობიანი გადაჭრა, კორეაში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, გამალებული შეიარაღება და მშვიდობის პაქტისათვის ბრძოლა.

იმპერიალისტური რეაქციისა და მისი მემარჯვენე სოციალისტი და ტროელი მსახურების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში სულ უფრო მონოლითური ხდება მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მოძრაობის ერთიანობა და ორგანიზებულობა, კაუდებიან და იწრთობიან მშვიდობისათვის მებრძოლნი, მტკიცდება მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობა.

მსოფლიოს ხალხები მხურვალედ თანაუგრძნობენ და საყოველთაოდ უჭერენ მხარს თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა გმირულ ბრძოლას კორეაში ამერიკელთა ინტერვენციის წინააღმდეგ. ყველა ქვეყნის მშრომელები კორეელი პატრიოტებისადმი თანაგრძნობასა და სიყვარულს ცხადყოფენ 25 ივნისს, როცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოწოდებით აღინიშნება გმირი კორეელი ხალხისადმი აქტიური საერთაშორისო სოლიდარობის დღე, მშვიდობის დაცვის დღე.

დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის ყველა კუთხეში ძლიერდება სახალხო მოძრაობა რემილიტარიზაციის, აგრესიისა და ფაშიზმის ძალების აღორძინების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც გაშინგტონი და მისი აგენტურა ამ ქვეყნებში ახორციელებენ. ამ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის ბედისათვის. ამიტომ ყველა ქვეყნის მშრომელები თანაგრძნობით შეხვდებიან და მხარს დაუჭერენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ალმასრულებელი ბიუროს მიმართვას, რომელიც დღეს ქვეყნდება და რომელიც მოუწოდებს „მხარი დაუჭირონ გერმანელი და იაპონელი ხალხების სამართლიან ბრძოლას თავიანთი დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაციის იმპერიალისტური გეგმების წინააღმდეგ". პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია განსაკუთრებით იმ ქვეყნების მშრომელებს, სადაც მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" პროექტი შეტანილ იქნება სარატიფიკაციოდ, მოუწოდებს გააჩაღონ აქტიური საპროტესტო კამპანია და მოითხოვონ ამ ხელშეკრულების ლიკვიდაცია.

ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილება — ჩაშალონ ამერიკა-ინგლისის გეგმები გერმანიის მიმართ — მშვიდობის საქმისადმი ეს უაღრესად მტრული გეგმები, — ცხადყო ამას წინათ ვარშავაში გამართულმა სრულიად პოლონეთის კონფერენციამ — დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის. ყველა პოლონელი პატრიოტის სახელით კონფერენციამ მიღებულ რეზოლუციაში განაცხადა: „პოლონელი ხალხი, რომელმაც მშვიდობის ეროვნული პლებისციტის დროს 18 მილიონი ხმით გამოთქვა თავისი მტკიცე პროტესტი დასავლეთ გერმანიის დანაშაულებრივი რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, ჰიტლერული ვერმახტის აღდგენის წინააღმდეგ, სასიცოცხლოდ დაინტერესებულია გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტით და სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის ისტორიულ წინადადებებს, რომ პოტსდამის შეთანხმების საფუძველზე დაიდოს საზავო ხელშეკრულება გაერთიანებულ, დემოკრატიულ და მშვიდობიან გერმანიასთან".

რაც უნდა ცოფდებოდეს იმპერიალისტური რეაქცია და ცდილობდეს ჩაახშოს ხალხთა მასების მოძრაობა მშვიდობის დაცვისათვის, რა ღონისაც უნდა მიმართავდნენ ომის გამჩაღებელთა მემარჯვენე სოციალისტი აგენტები, ისინი ვერ შეაჩერებენ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ხალხთა ბრძოლას, რომელიც ყველგან ყოველდღე ძლიერდება.

მშვიდობისათვის ბრძოლა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა. აძლიერებენ რა სიფხიზლეს და დაუცხრომლად ამხილებენ რა ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა დანაშაულებრივ ხრიკებს, ყველა ქვეყნის მშვიდობის მომხრენი მტკიცედ და გაბედულად იბრძვიან მშვიდობის დიადი საქმისათვის.

წერილები რედაქციას

დავამყაროთ წესრიგი ხილის მიმღებ პუნქტებში

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე გაჩაღებულია ხილის კრეფა-დამზადება. ბევრგან მოსავალს კარგი პირი უჩანს. წარსულ წელთან შედარებით განსაკუთრებით აღლილია თესლოვანთა და კურკოვანთა მოსავალი. ახლა ამოცანა ის არის, რომ სწორად მოვაწყოთ ხილის არა მარტო კრეფა, არამედ დახარისხება, ჩაწყობა და დანიშნულებისამებრ გაგზავნა.

ამ დღეებში შემოწმებულ იქნა ბაზების მზადყოფნა. გამოირკვა, რომ ტექნიკური ბაზები სეზონს ძირითადად კარგად შეხვდნენ. მაგრამ ამ საქმეში ზოგან სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. ადგილებზე ყველგან არ გაითვალისწინეს ის, რომ წელს ბევრად მეტი ხილი უნდა დამზადდეს, და მისი გადაზიდვისათვის აქედანვე უნდა იქნას მიღებული ღონისძიებანი. ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სატრანსპორტო გზების რემონტს, დამზადების პუნქტების წესრიგზე მოყვანას, ტექნიკური პერსონალით დაკომპლექტებას და დამხმარე მუშახელით უზრუნველყოფას, კადრების გადამზადებას.

ჩვენში წელს ხილს დიდი რაოდენობით დაამზადებენ ცეკავშირის რაიონული განყოფილებები, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციები, საქართველოს კონსერვტრესტი და სხვ.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ დამამზადებლებს რაიონებში თითქმის ყველგან აქვთ ნაკლოვანებანი ბაზებსა და პუნქტებში. მაგალითად, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მცხეთის რაიონულ კანტორას (უფროსი ამხ. თ. მალაზონია) მუხრანისა და ძეგვის პუნქტებში დღემდე არ დაუმყარებია წესრიგი. სახურავში წვიმა ჩამოდის, იატაკი, ჭერი და კედლები ბევრგან შეუკეთებელია, შენობები არ შეუთეთრებიათ.

თბილისელვაჭრობას მეტეხსა და კასპში მოწყობილ პუნქტებში თითქმის არაფერი არ გაუკეთებია იმისათვის, რომ კარგად მოეწყო ხილის მიღება-დამუშავება. კასპის პუნქტის შენობა სრულიად უვარგისია, სახურავი დაზიანებულია, არა აქვთ გადასამუშავებელი ადგილი, ასეთივე მდგომარეობაა მეტეხში, მოუწესრიგებელია ელექტროგაყვანილობა, აკლიათ ტარა და მთელი რიგი საჭირო ინვენტარი.

ცეკავშირის სისტემის ზესტაფონის კანტორაშიც (მმართველი ამხ. გ. აბაშიძე) თავს არ იწუხებენ რემონტისათვის; წესრიგზე არ მოუყვანიათ სასწორი.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ორჯონიკიძის (მმართველი ამხ. კიკნაძე), ქარელის (ამხ. თორროზოვი), ვანის (ამხ. დიასამიძე), წულუკიძის (ამხ. სულაბერიძე) და სხვა პუნქტებში, აგრეთვე საქხილბოსტანის ქუთაისის ბაზაში (დირექტორი ამხ. დ. ჭინჭინაძე).

ამ ნაკლოვანებათა გაგრძელება შეუწყნარებელია. საჭიროა გადამჭრელი ზომები მივიღოთ ხილის მიმღებ პუნქტებში წესრიგის დასამყარებლად ხილის წესიერი დახარისხებისა და დანიშნულებისამებრ გადაზიდვისათვის.

აგრონომი ს. ჭითაშვილი.

რა უშლის ხელს მაღალხარისხოვანი ავეჯის დამზადებას

ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლებასთან ერთად უმაგალითოდ გაიზარდა მოთხოვნილება ძვირფას ავეჯზე. საბჭოთა ადამიანს სურს ყოველდღიური მოხმარებისათვის ჰქონდეს მაღალი გემოვნებით დამზადებული საოჯახო ნივთები. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის საავეჯო მრეწველობა საგრძნობლად ჩამორჩება მშრომელთა ამ გაზრდილ მოთხოვნილებას.

საავეჯო მრეწველობის ეს ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ ავეჯის დამამზადებელ საწარმოებში ნაკლებად ზრუნავენ წარმოების მექანიზაციისა და ტექნოლოგიური რეჟიმის გაუმჯობესება-სრულყოფისათვის, მოგვარებული არ არის ოპერაციათა მიხედვით შრომის განაწილება, რაც გაადვილებდა და მაღალნაყოფიერს გახდიდა მუშის შრომას, ამასთან საშუალებას მოგვცემდა ავეჯის აწყობის პასუხსაგებ საქმეში ფართოდ გამოგვეყენებინა დაბალი კვალიფიკაციის მუშები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს საწარმოებში უფრო მეტად მოძველებული კონსტრუქციის ავეჯი მზადდება. ეს გარემოება აფერხებს საწარმოო პროცესების მექანიზაციას. ამიტომ საკონსტრუქტორო ბიუროების მოვალეობაა შექმნან ისეთი ახალი კონსტრუქციის ავეჯი, რომელიც ლამაზი, კომფორტაბელური და ამავე დროს ადვილი დასამზადებელი იქნება, მექანიზაციისა და შრომის განაწილების ფართო საშუალებას მოგვცემს. უმისოდ შეუძლებელია ნაკადურ წარმოებაზე გადასვლა და შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევა.

საავეჯო წარმოების ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით დიდი მუშაობა შეასრულა თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების და ავეჯის კომბინატის კოლექტივმა. შექმენით ახალი კონსტრუქციის ავეჯი, გაუმჯობესეთ მისი დამზადების ტექნოლოგია, განვითარდეთ მთელი რიგი შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია, და შეძელით ავეჯის აწყობაში წარმატებით გამოგვეყენებინა დაბალი კვალიფიკაციის მუშები. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად აამაღლა და ავეჯის ხარისხი დიდად გააუმჯობესა წვნევის ქვეშ მწრალად დაფარების შემოღებამ. ავაგეთ აგრეთვე სახეხი დაზგა და ავეჯის გამკრიალებელი კონვეიერული რევერსიული აპარეგატი. ეს უკანასკნელი საავეჯო წარმოების დიდი მოღწეეა. იგი 20-30 კვალიფიციურ ხელსანს ცვლის. გავაუმჯობესეთ ავეჯის აწყობის წესი. ამ საქმეში ჰასობრივად გამოვიყენეთ დაბალი კვალიფიკაციის მუშები, გადავედით ნაკადურ წარმოებაზე. ამ ღონისძიებათა განხორციელებით საგრძნობლად დავაჩქარეთ საწარმოო ციკლი, ავამაღლეთ შრომის ნაყოფიერება. თუ წინათ მაღალკვალიფიციური ხელოსანი თვეში სამი საწერი მაგიდის დამზადებას ძლივს ასწრებდა, ახლა თავისუფლად აწყობს 20 მაგიდას და უფრო მეტსაც.

ჩვენმა მიღწევებმა ბევრი საავეჯო საწარმო დაინტერესა, მაგრამ ჩვენი გამოცდილების შესასწავლად და გადასატანად პრაქტიკული ნაბიჯი ჯერ არავის გადაუდგამს. განსაკუთრებით ეს ითქმის სატყეო მრეწველობის საავეჯო ფაბრიკებზე.

საწარმოო ტექნიკისა და ტექნოლოგიური რეჟიმის მხრივ ჩვენ ყველა პირობა გვაქვს დავამზადოთ მაღალხარისხოვანი ავეჯი. მაგრამ ჩვენს მუშობას დიდად აფერხებს ნედლეულის უქონლობა. საუკეთესო ავეჯის დასამზადებლად საჭიროა კაკლისა და სხვა ძვირფასი ხის ფანერი. კომბინატი კი ასეთი ფანერით თითქმის სრულიად არ მარაგდება. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ არაერთხელ დასვა საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიის წინაშე ძვირფასი ფანერით ჩვენი კომბინატის მომარაგების შესახებ, მაგრამ საგეგმო კომისიის მუშაკები საქმეს უსულგულოდ უდგებიან და უარს გვეუბნებიან იმ უსაფუძვლო მოტივით, თითქოს საქართველოში ასეთი ფანერი არ მზადდებოდეს. ფაქტიურად მარტო შარშან თბილისის ფანერის ქარხანამ 277 ათასი კვადრატული მეტრი კაკლისა და სხვა ძვირფასი ხის ფანერი დაამზადა. ჩვენს ამ უნაყოფო ხეტიალში თბილისის ფანერის ქარხნის დირექტორი გ. რაზმაძე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ვაგონებით გზავნიდა ძვირფას ფანერს, რომელიც საგეგმო კომისიისა და „გლავლესსაბიტის“ რესპუბლიკური კანტორის მუშაკების განცხადებით თითქოს სატყეო მრეწველობის სამინისტრომ აღგილობრივი მოხმარებისათვის დაამზადა და საკავშირო განაწილებას არ ექვემდებარება.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს საავეჯო ფაბრიკების სათანადო მასალებით მომარაგებას.

გ. ხვედელიანი,
თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის მთავარი ინჟინერი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„პლანგვაციები მოუველია. ჩაის დამზადება ფერხდება“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 30 მაისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყო სერიოზული ნაკლოვანებანი ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავებასა და ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის საქმეში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ხობის რაიკომმა განიხილა ეს წერილი და სწორად სცნო მასში მოცემული კრიტიკა. რაიკომის ბიურომ კომუნისტებს, სოფ. ნოჯიხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. ჩიტაიას, საკოლმეურნეო პარველადი პარტორგანიზაციის მდივანს ბ. ნანეიშვილს და სოფელ ხობის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. ხვიფარიას ჩაის პლანტაციებში აგროწესებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხორციელებლობისა და კრეფის არაორგანიზებულობისათვის გამოუცხადა საყვედური.

როდის დაიწყება პრეპარატ „ნავთოპოლის“ დამზადება?

ამ რამდენიმე წლის წინათ საკუთარი დაკვირვებით და მრავალი ცდის შედეგად გამოვიგონე და დავამზადე პრეპარატი „ნავთოპოლი“, რომელიც საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა პარაზიტების, კერძოდ ბაღლინჯოს მოსასპობად. ამ საქმეში ამჟამად გამოყენებულ სხვა პრეპარატებთან შედარებით „ნავთოპოლს“ დიდი უპირატესობა აქვს: უფრო ძლიერად მოქმედებს, სრულებით არა აქვს სუნი და ფერი. ამის გამო მისი გამოყენება ადვილად შეიძლება პარაზიტებისაგან ყოველგვარი ავეჯის, ოთახების ლამაზად მოხატული კედლების, რკინიგზის კომფორტაბელური ვაგონების, ხალიჩების, ქვეშსაგებისა და თეთრეულის გასაწმენდად.

ჯერ კიდევ 1946 წელს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო საბჭომ მოიწონა და საჭიროდ ცნო პრეპარატ „ნავთოპოლის“ გამოყენება. აღნიშნული წამალი ხმარებულ იქნა თბილისის სასტუმროებსა და საავადმყოფოებში, რამაც კარგი შედეგი მოგვცა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მოწინავე ტექნიკის დანერგვის სახელმწიფო კომიტეტის გამოგონებისა და აღმოჩენის სამმართველომ 1950 წელს განიხილა ჩემი გამოგონება, მოიწონა „ნავთოპოლი“ და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიანდო ორი თვის ვადაში მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება ამ გამოგონების გამოყენების შესახებ.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სთხოვა მოაწყოს პრეპარატ „ნავთოპოლის“ წარმოება. მაგრამ პრეპარატ „ნავთოპოლის“ დასამზადებლად დღემდე პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა.

ნადეჟდა ნადირაშვილი.

რუსთავის მაგარეგზღებში ანგისანიზარული მდგომარეობაა

რუსთავის მატარებლებში ხშირად ირღვევა სანიტარული წესები. ვაგონებში უსუფთაობაა. ვენტილაციაც რეგულარულად არ მუშაობს. მოუხედავად ამისა, რომ მატარებელს რამდენიმე სატვირთო განყოფილება აქვს, მგზავრების ნაწილი სარგებლობს რა გამცილებლის უყურადღებობით, ვაგონებში შედის დიდი ბარგით.

გამცილებლები ვაგონების დასუფთავებას ბოლო სადგურთან მატარებლის მიახლოების წინ იწყებენ, რის გამო ვაგონებში მტვერი დგება. წესრიგის დამრღვევთა დაჯარიმება აქ რატომღაც შემოღებული არ არის.

ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის რამდენჯერმე მივმართეთ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკებს, მაგრამ ისინი ამას „წვრილმან საქმედ“ თვლიან და ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა დღემდე უყურადღებოდ რჩება.

ი. გიორგაძე.

გერმანიის პრობლემის გადამწყვეტი საერთაშორისო კონფერენციისაკენ

კოპენჰაგენი, 17 ივნისი. (საკადესი). პრესის ცნობით, ქალაქ ოდენსში (დანია) მუშაობა დაამთავრა გერმანიის პრობლემის გადამწყვეტმა საერთაშორისო კონფერენციამ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, შვეიცის, დანიის, ნორვეგიის დელეგატებმა. როგორც უკვე იუწყებოდნენ, იმის გამო, რომ დანიის მთავრობამ უარი თქვა შესასვლელი ვიზების გაცემაზე, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა ვერ მიიღეს დასავლეთ გერმანიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და ავსტრიის დელეგატებმა.

მღვდელი უფე ჰანსენი შესავალ სიტყვაში მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს და მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ დანიის მთავრობამ შესასვლელი ვიზები არ მისცა მთელ რიგ დელეგატებს. კონფერენციაზე გამოქვეყნებულ იქნა სპეციალური დეპეშები დანიის მთავრობის ანტიდემოკრატიული გადაწყვეტილების წინააღმდეგ. კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ, რადგან მთელი რიგი ქვეყნების დელეგატებს უარი ეთქვათ ვიზების მიცემაზე, ეს კონფერენცია უნდა ჩაითვალოს როგორც არასაბოლოო.

მოხსენება „ევროპის ხალხთა მისწრაფება მშვიდობისათვის ბრძოლაში“ კონფერენციაზე გააკეთა ადვოკატმა მიშელ ბრიუგიემ (საფრანგეთი).

მოხსენება თემაზე „გერმანიის უფლება იარსებოს, როგორც ერთიანმა და თავისუფალმა ერმა“ გააკეთა ეურნალ „ესპოგის“ რედაქტორმა ჟან მარი დომენაკმა (საფრანგეთი).

კონფერენციაზე წაკითხულ იქნა ქალაქ მიუნხენ-გლადბახის ყოფილი ბურგომისტრის ვილჰელმ ელფესის მოსსენება თემაზე „...ადამიანები, რომლებიც გერმანიამ უნდა მიიტაცოს ამის შემზობელ ქვეყნებს“ (ვ. ელფესს უარი უთხრეს შესასვლელი ვიზის მიცემაზე).

კონფერენციაზე გამოქვეყნებულ იქნა მისასალმებელი დეპეშები გერმანელი დელეგატებისაგან, რომლებიც შეიკრიბნენ ქალაქ ჰამბურგში კონფერენციაზე, რომელთანაც ქალაქ ოდენსის კონფერენციის მუდმივი სატელეგრაფო კავშირი ჰქონდა.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლუცია დასავლეთ გერმანიის რევილიტარიზაციისა და ბონის სუპარატული ხელშეკრულების წინააღმდეგ. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო კოალიციაში დასავლეთ გერმანიის შეყვანა ეწინააღმდეგება პოტსდამის შეთანხმებას, რომელიც ერთადერთი იურიდიული საფუძველია გერმანიასთან საერთაშორისო ურთიერთობისათვის. რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნულია გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესაძლებლობა.

კონფერენციას მიაჩნია, რომ გერმანიას შეუძლია მისცეს საკმარო გარანტიები მის მეზობელ ხალხებს. ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტია ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც გერმანიის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს საშუალებას მისცემენ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი აზრი და თავისუფლად განვითარდნენ.

კონფერენციის დელეგატებმა ვალდებულება იკისრეს თავიანთი გავლენა ხალხში და თავიანთი ქვეყნების პარლამენტებში გამოიყენონ იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ბონის სუპარატული ხელშეკრულების და „ევროპის არმიის“ შექმნის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციას და მიაღწიონ იმას, რომ მოეწყოს ოთხი სახელმწიფოს კონფერენცია გერმანიის პრობლემაზე.

გერმანიის პრობლემის გადამწყვეტი საერთაშორისო კონფერენციის მიმართვა

კოპენჰაგენი, 17 ივნისი. (საკადესი). ღღეს კოპენჰაგენში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოქვეყნდა მიმართვა, რომელიც გერმანიის პრობლემის გადამწყვეტმა საერთაშორისო კონფერენციამ მიიღო.

მიმართვაში ნათქვამია, რომ „გადაწყვეტილება —შეიქმნას დასავლეთ გერმანიაში არმია, რათა ეს ქვეყანა შეყვანილ იქნას სამხედრო კოალიციაში, მიღებულ იქნას პოტსდამის შეთანხმების საწინააღმდეგოდ, რომელიც ერთადერთი იურიდიული საფუძველია გერმანიასთან საერთაშორისო ურთიერთობისათვის“.

„ჩვენ, — აღნიშნულია მიმართვაში, — დარწმუნებული ვართ, რომ ამით გადადგმულია მეტად სერიოზული ნაბიჯი ომისაკენ. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია სერიოზულად გავაფხილოთ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელებსა და პარლამენტების დეპუტატებს, რომ ამიერიდან მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა შესაძლებელი კონფლიქტისათვის, რამდენადაც ისინი შუა ევროპაში ქმნიან სამოქალაქო ომისა და ქვეყნებს შორის ომის გაჩაღების პირობებსა და საშუალებებს...

მაგრამ არსებობს მშვიდობიანი გადაჩრის შეესაძლებლობა. დად სახელმწიფოებს შეუძლიათ შეთანხმდნენ გერმანიის შესახებ იმ პირობით, რომ მას მიენიჭება შემდეგი უფლებანი: 1. ეროვნული ერთიანობის უფლება. 2. თავისუფლად არჩეული მთავრობის უფლება. 3. საზავო ხელშეკრულების უფლება. 4. სუვერენიტეტისა და უშიშროების უფლება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მეზობელ ხალხთა უშიშროების საკმაო გარანტიებს ძებნა გვიანლა იქნება. არა გვსურს რა ამჟამად დავაზუსტოთ ეს გარანტიები გერმანიის დელეგატების დაუსწრებლობის გამო, ჩვენ მაინც ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია იქნება ისეთ ღონისძიებათა მიღება, რომლებიც გერმანიის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს შესაძლებლობას მისცემენ თავისუფლად გამოთქვან აზრი და თავისუფლად განვითარდნენ.

ჩვენს ძმურ სოლიდარობას ეუცხადებთ გერმანელებს, რომლებიც მშვიდობისათვის პირველ რიგებში იბრძვიან.

დასავლეთის ქვეყნების მთავრობებმა, რომლებმაც ხელი შეუშალეს გერმანიის დელეგატებს, ავრეთვე პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის დელეგატებს მონაწილეობა მიეღოთ გერმანიის სხვა ცხრა მეზობლის დელეგატებთან ერთად საერთო დისკუსიაში გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჩრის პრინციპების შესახებ, იმის კიდევ ერთი საბაბი მოგვცეს, რომ შეშფოთება გამოვთქვათ და გავაძლიეროთ ნებისყოფა საერთო საფრთხის წინააღმდეგ თავდაცვის საქმეში.

გერმანიის პრობლემის მხოლოდ მშვიდობიანი გადაჩრით შეიძლება ყველა ხალხს გავუხსნათ თანამშრომლობისა და თავისუფლების ახალი გზა.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელება შეესაძლებლობას შექმნის მივაღწიოთ გერმანიისა და სხვა ხალხების ურთიერთგაგებას, რის შედეგადაც გერმანიის განიარაღება შეიძლება პირველი ნაბიჯი გახდეს საყოველთაო განიარაღების გზაზე.

ევროპის ცხრა ქვეყნის დელეგატები, რომლებსაც სულ სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებანი აქვთ, ამით ცხადყოფენ ერთიანობის მაგალითს და კისრულობენ დარაზმონ მთელი ძალები, რომლებიც მათ გაჩნიათ ხალხთა შორის და პარლამენტებში, რათა ხელი შეუშალონ ამას წინათ ხელმოწერილ ხელშეკრულებათა რატიფიკაციას, ხელი შეუშალონ ნაჩქარევად მათს ამოქმედებას, მიაღწიონ ოთხი სახელმწიფოს ეფექტიანი კონფერენციის მოწვევას თავისუფალი არჩევნებისა და ყოვლისშემცველი ხელშეკრულების მოსამზადებლად.

დელეგატები კისრულობენ ყოველი ღონე ეზმარონ საზოგადოებრივი აზრის დასარაზმავად, რათა შესაძლებელი გახდეს თავიდან ავიშოროთ გამოუსწორებელი რამ, გადავრჩეთ ამ საშინელ საფრთხეს და მოვიპოვოთ მტკიცე მშვიდობა“.

სოციალიზმისა და მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლი

(ა. მ. გორკის გარდაცვალების მე-16 წლისთავისათვის)

გორკი „ჩემს უნივერსიტეტებში“, სადაც ერთ ადამიანებს ეს ზღაპარი ეუბნებოდა, ამბობს, თუ რაზე ოცნებობდა მაშინ, როცა ვოლგის ნავსადგურებში დაეხეტებოდა შემთხვევითი საშოვრის საძებნად: „მე უკვე თავი წარმომედგინა თეთრწვერა ჯადოქრად, რომელმაც გამონახა საშუალება მოიყვანოს ვაშლისოდენა პურის მარცვალი, ერთ ფუთიანი კარტოფილის ტუბერი და საერთოდ ბევრი რამ იკეთე გამონახა ამ ქვეყნისათვის, სადაც ესოდენ საშინლად ძნელია ცხოვრება არა მარტო ჩემთვის“.

„რა მიუწვდომელი უნდა ყოფილიყო ეს ოცნება უმუშევარი ჭაბუკის ცხოვრების საშინელ პირობებში რევოლუციამდელ რუსეთში!

1935 წელს ირკუტსკის საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის გაგზავნილ წერილში გორკი, მიმართავდა რა, ასეთივე ჭაბუკებს, როგორიც თვითონ იყო 50 წლის წინათ, წერდა: „მთელი ჩვენი მიწა უნდა დამშუშაოთ, როგორც ბაღი, ამოვამროთ ბალახები, წყლით მოვამარაგოთ უწყლო უდაბნოები... გავიყვანოთ მილიონობით კილომეტრი გზები, გავწმინდოთ უზარმაზარი ჩვენი ტყეები... ეს, ალბათ, ეგონა, ყველაფერი როდია, ბევრის კიდევ ბევრი. სხვადასხვანაირი, ნამუშევარი სამუშაო პირველი, ნამდვილად კულტურული, სოციალისტური ადამიანმწიფოს მშენებლობაში, ეს მუშაობა მოგელით თქვენ...“

ასე, ჭაბუკი ალექსი პეშკოვის ფანტასტიური ოცნება გახდა მილიონობით საბჭოთა ადამიანის რეალური საოცოცხლო საქმე.

გორკიმ მთელი თავისი ნიჭი, თავისი ულის მთელი ძალა მოანდომა იმას, რომ დახმარება გაეწია ამ ოცნების განხორციელებისათვის.

„განვლო ადამიანის მიერ მშვენიერი ზღაპრებისა და ფანტაზიის შექმნის ხანამ, და ბევრი ადამიანი წუხს, რომ ამ ხანამ განვლო, — სწერდა გორკი 1928 წელს ბაჭოელ მუშებს.— თქვენ, ჰუშა ადამიანებს ეს არ შეგაშფოთებთ, რადგან თქვენ ქმნით ზღაპრულ სინამდვილეს, თქვენ დაიწყეთ ისეთი ცხოვრების შენება, რომელიც ყველა ძველ ზღაპარსა და ფანტაზიაზე უფრო მშვენიერი, უფრო დიდებული იქნება“.

დიდმა პროლეტარულმა მხატვარმა გორკიმ იცოდა, რომ ხალხის შრომითი ენერგია შეიცავს უსაზღვრო შემოქმედებითს შესაძლებლობას. რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურ პრაქტიკაში, ლენინ-სტალინის პარტიის მოძღვრებაში პოულობდა იგი რწმენას ხალხის მასების შემოქმედებითი ძლიერებისადმი. ამიტომ უკვე თავის ოქტომბრამდელ შემოქმედებაში მწერალმა შეძლო ეჩვენებინა ხალხის ჩაგვრის არა მარტო შემაძრწუნებელი სურათები, მისი გაჭირვება და უუფლებობა, არამედ მშრომელთა ძალითა და შემოქმედებითი პათოსით აღსავსე სახეებიც.

მაგალითად, მიმდინარე საუკუნის დამდეგს, გორკის პიესაში „მდაბიონი“ მემანქანე ნილის სახით მშრომელი ადამიანი პირველად წარმოგვიდგა არა როგორც გაბატონებული კლასების ტრაგიკული მსხვერპლი, არამედ როგორც მებრძოლი, რომელსაც ეკუთვნის მომავალი, როგორც ხვალინდელი „ცხოვრების ბატონ-პატრონი“.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ. რეაქციის პერიოდში, მშრომელი მასებისადმი ბურჟუაზიულ მწერალთა აღვირახსნილი ცილისწამების საწინააღმდეგოდ გორკიმ ხოტბა შეასხა ხალხს — მთელი სულიერი და მატერიალური ღირებულების ერთადერთ შემოქმედს: „ადამიანები, რომლებმაც იციან, რომ ხალხი ენერგიის დაუშრეტელი წყაროა, რომელსაც ერთადერთს ძალუძს ყოველი შესაძლებელი აქციოს იმდენ, რაც საჭიროა, ყველა ოცნება აქციოს სინამდვილედ, — ეს ადამიანები ბედნიერნი არიან!“.

„იტალიის ზღაპრებში“, რომლებსაც მაღალი შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა, ცოტა ფურცელი როდია შრომის გმირული პოეზიისადმი მიძღვნილი. ხოლო ციკლის „რუსეთში“ ერთ-ერთი მოთხრობის გმირს გორკიმ ათქმევინა თავისი უყარეულად სანუკვარი აზრი ისტორიაში ეგრეთწოდებული „პატარა ადამიანების“ როლის შესახებ: „მთელი სიცოცხლე, თავიდან ბოლომდე შეუმჩნეველი, პატარა ადამიანების დიდი საქმეა, ნუ დამალავთ მათს მუშაობას, გვიჩვენეთ იგი!“.

რუსული კლასიკური ლიტერატურის შესანიშნავი დამსახურება ის არის, რომ მან წინ წამოწია „პატარა“, დამონებული ადამიანის სახე, გამოვიდა მის დასაცავად, უდიდესი თანაგრძნობით გადაგვიშალა მისი შინაგანი სამყარო. მაგრამ მხოლოდ სოციალისტური ეპოქის მხატვარმა შეძლო ეს „პატარა“ ადამიანი დიდ ადამიანად მიეჩნია.

კაპიტალიზმი თრგუნავდა და ახშობდა მშრომელის ბუნებაში ჩანერგილ შემოქმედებითს შესაძლებლობას. სოციალისტურმა რევოლუციამ შექმნა უმაგალითო პირობები იმ შემოქმედებითი თავისუფალი შრომის ასაყვავებლად, რომელიც მთელ დედამიწას აქცევს გაფურჩქვნილ ბაღად და რომელსაც კაცობრიობისათვის მოაქვს ბედნიერება, სიხარული და ამავე დროს გარდაქმნის ადამიანის შეგნებას.

„ჩვენ განვლეთ საბრძოლო, ძალიან ძნელი და სრულიად ზღაპრული ცხოვრების 18 წელი, — წერდა გორკი სტატიაში სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე ი. ბ. სტალინის სიტყვის გამო. — თუ არას ვიტყვით იმის შესახებ, რა ბევრი — კოლოსალურად ბევრი, — შეიქმნა ამ წლებში, უნდა კეახსოვდეს, რომ ეს კოლოსალური შრომა შექმნა სრულიად ახალი ფსიქოლოგიის ათიათასობით ადამიანმა. რა არის ეს ახალი? მარიან დემჩენკო ჰწერს: „შრომა უდიდესი, წმიდათაწმიდა საქმეა ჩვენს ქვეყანაში... ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სასარგებლო თავისუფალი შრომა უდიდესი ბედნიერება და სიხარულია ჩვენთვის...“ ასე ამბობს არა მარტო დემჩენკო და ეს არა მარტო ახალი სიტყვებია, ეს ახალი გრძნობაა“. გორკი გვიჩვენებს თუ საბჭოთა სინამდვილეში ადამიანი, რომელიც განიცდის სრულიად შეუზღუდველი შრომითი შემოქმედების ბედნიერებას, როგორ ხდება ჭეშმარიტად დიდი, ტიტანური ფიგურა.

ოქტომბრის შემდგომი პერიოდის გორკის მოთხრობები, ნარკვევები, სტატიები გაისმის როგორც საბჭოთა ხალხის შრომითი გმირობის, სოციალისტური შრომის იმ „სასწაულების“ აღფრთოვანებული ჰიმნი, რომელიც გარდაქმნის დედამიწას, ქმნის „მეორე ბუნებას“ — კულტურას, გაისმის როგორც მშვიდობის იმ დიადი საქმის მგზნებარე ქება-დიდება, რომელსაც საბჭოთა ხალხი ახმარს თავის შემოქმედებითს შრომას. „ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც ემსახურება მშვიდობის საქმეს“ — ამბობდა გორკი.

მშვიდობის საქმისათვის ბრძოლა მწერლის მთელი ცხოვრების საქმე იყო. მილიონობით უბრალო ადამიანი, შრომის ადამიანები, ყველა მატერიალური და სულიერი ფასეულობის შემქმნელნი მან დაუპირდაპირა კაპიტალისტებს — „მსოფლიოს ცრუ ბატონ-პატრონებს“, რომელნიც, „არსებითად, აჩანაგებენ დედამიწას, სპობენ მის საგანძურს თავიანთი კლასობრივი, ანგარებითი, საზიზღარი მიზნების მიღწევისათვის“.

ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე გორკიმ დაგმო მეშჩანები, ბურჟუაზიული ინტელიგენტები როგორც „ძოგარაკენი“, რომელნიც ვერაფერს ვერ აძლევენ ქვეყანას, სადაც ისინი ცხოვრობენ, რომლებიც მხოლოდ ანგვიანებენ მას. მან გამოავლინა მაიაკინის ტიპის კაპიტალისტთა ნამდვილი სახე, რომლებსაც თავი მოაქვთ „ცხოვრების მომწყობებად“, ფაქტიურად კი „სიბინძურის ორმოს“, ცხოვრების ნაცვლად „საპყრობილის“ „შემქმნელები“ არიან. 1906 წლის შესანიშნავი პამფლეტებით მან გვიჩვენა „ყვითელი ეშმაკის“ საშინელი, ყოველივე ცოცხალის გამანადგურებელი, მომსპობი ძალაუფლება, ოქროს ძალაუფლება, რომელიც განუყოფლად ბატონობს ბურჟუაზიულ ამერიკაში.

მით უფრო მეტი ძალით დაატყდა თავს გორკი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თავისი სამშობლოს დაუძინებელ მტრებს, იმპერიალისტური რეაქციის აურაცხელ წარმომადგენლებს, გადაგვარებული და გაველურებული კაპიტალიზმის წარმომადგენლებს. მის პუბლიცისტიკაში ამომწურავად არის ნაჩვენები „ჩვენი პლანეტის ყველაზე მახინჯი ცივილიზაცია“, როგორც იგი უწოდებდა ამერიკის შეერთებული შტატების „ცივილიზაციას“. „ბანკირი წარმოშობს ბინდიტს — აი რას მოგვითხრობს თანამედროვე „ბიბლია“, და ეს უდავოა“ — წერს მწერალი. გორკი დაუცხრომლად ამხილებდა ამ გახრწნილ ბანკირულ-ბანდიტურ სამყაროს, მსოფლიო მედუქნეთა. დანაშაულებრივ და გამანადგურებელ ბარბაროსობას, რომლებიც ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას ამზადებენ.

ჯერ კიდევ 1925 წელს იგი წერდა: „...ახალი ხოცვა-ჟლეტის მოლოდინში შეერთებული შტატების მრეწველები, როგორც ჩანს, იმარაგებენ აუარაბელ სამხედრო საჭურველს, რათა რაც შეიძლება მალე და ბრწყინვალედ დაასახიჩრონ და მოსპონ მილიონობით ადამიანი. მრისხანე სიძულვილით მოყავს მას ციტატი ვინმე სამხედრო „სპეციალისტის“ მოხსენებიდან: „აეროპლანები ჩამოყრიან შხამიანი გაზებით, აგრეთვე ხოლერის, შავი ჭირისა და სხვა სნეულებათა ბაცილებით გატენილ ბომბებს. ამ საქმის ტექნიკურ მხარეს ამუშავებენ სამხედრო დაწესებულებებში“. ახლა „საქმის ტექნიკური მხარე“ უკვე დამუშავებულია. შავი ჭირის ბომბები დაეცა დედამიწას. ამერიკელ აგრესორთა საზარელმა დანაშაულმა გადააჭარბა ჰიტლერელ ჯალათთა მხეცობას და გამოიწვია მშვიდობისმოყვარე ხალხთა წმიდა გულისწყრომა და პროტესტი. ამ მრისხანე პროტესტში დღესაც ხმამაღლა გაისმის გორკის ს

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 16 ივნისი. (საკდესი), კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 16 ივნისს გამოაცხადა:

ფრონტების ცალკეულ უბნებზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის გაფთრებული იერიშების წარმატებით მოგერიებას და დიდ ზარალს აყენებდნენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 5 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ბარბაროსულ თავდასხმებში ჩვენი ზურგის დასახლებულ პუნქტებზე.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პაკ ხენ ენის განცხადება

ფხენიანი, 15 ივნისი. (საკდესი). კორეის პრესა აქვეყნებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პაკ ხენ ენის განცხადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსადმი. ამ განცხადებაში, რომელიც კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გადასცა, პაკ ხენ ენი აცნობებს სამდივნოს კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციას სამხედრო ტყვეების მიმართ ინტერვენტების ბოროტმოქმედებათა შესახებ. პაკ ხენ ენის განცხადებაში ნათქვამია:

ნიუ-იორკი, ლეიკ-საქსესი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო.

ვაცნობებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციას კორეის სახალხო არმიის და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილების სამხედრო ტყვეების მიმართ ამერიკელების ბოროტმოქმედებათა შესახებ. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სავსებით იზიარებს ერთიანი დემოკრატიული სამამული ფრონტის პოზიციას, რომელიც გამოხატავს ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ყველა იმ პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნებას, რომლებიც ამ ფრონტში შედიან. ამერიკელი ოკუპანტების ბოროტმოქმედებანი სამხედრო ტყვეების მიმართ, რაც აღიარეს ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენლებმა — კუნძულ კოჯედოს სამხედრო ტყვეთა ბანაკის უოფლმა კომენდანტებმა დოდმა და კოლსონმა, უხეშად არღვევენ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებიც სამხედრო ტყვეებს შეეხება.

ეს ბოროტმოქმედებანი, რომლებიც ამერიკელი ინტერვენტების მიერ კორეაში ჩადენილ უბოროტეს დანაშაულობათა რიცხვს ეკუთვნიან, გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევენ როგორც კორეელ ხალხში, ისე მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხში. სისხლიანი ამბები, რაც სამხრეთ კორეაში სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ხდება, მთელი მსოფლიოს წინაშე სავსებით ამხილებენ პანმინჯონში ამერიკის წარმომადგენელთა თვალთმაქცობასა და სიცრუეს, რომელნიც ცდილობენ გამოიყენონ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხი იმისათვის, რომ გააჭიანურონ და ჩაფუშონ მოლაპარაკება კორეაში ცეცხლის შეწყვეტისა და დაზავების შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს, რომლებიც, მოქმედებენ რა ამერიკელთა მოთხოვნით, მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციას კორეაში, შეერთებულ შტატებთან ერთად სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ დანაშაულობათათვის, რასაც ინტერვენტები სჩადიან კორეელი ხალხის წინააღმდეგ.

მტკიცე პროტესტს აცხადებს რა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკელი საოკუპაციო ხელისუფალნი მხეცურად ეპყრობიან კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილების სამხედრო ტყვეებს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი ასეთი ბოროტმოქმედებათა შეწყვეტისათვის და მკაცრი სიერთაშორისო სასჯელი გამოუტანოს ინტერვენციონისტული ბანაკის სამხედრო დამნაშავეებს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პაკ ხენ ენი, 1952 წლის 15 ივნისი. ფხენიანი, კორეა.

25 ივნისი გმირი კორეელი ხალხისადმი აქტიური საერთაშორისო სოლიდარობის დღეა, მშვიდობის დაცვის დღე

ვენა, 14 ივნისი (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესიამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიურო, ადასტურებს რა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიმართავს, მოუწოდებს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას, მშრომელ ქალებსა და კაცებს ერთსულოვანი მონაწილეობა მიიღონ გმირი კორეელი ხალხისადმი აქტიური საერთაშორისო სოლიდარობის დღის, მშვიდობის დაცვის დღის მოწყობაში.

1952 წლის 25 ივნისს მშრომელნი მშვიდობის დაცვის კომიტეტებთან ერთად მოითხოვენ: მშვიდობიანად მოწესრიგდეს კორეის საკითხი სამართლიან, გონივრულ საფუძველზე და ამ ქვეყნიდან გაყვანილ იქნან უცხოეთის მთელი ჯარები; უთუოდ აიკრძალოს მასობრივი გაჟღეტის იარაღი და დაგმობილ იქნას დანაშაულობანი ამერიკელი აგრესორებისა, რომლებმაც ბაქტერიოლოგიური იარაღი გამოიყენეს კორეის ფრონტზე და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში; მხიარულებულ იქნას არაადამიანური და უსინდისო რეპრესიები, რომლებსაც ამერიკელი სამხედრო მეთაურები ახორციელებენ სამხედრო ტყვე კორეელთა და ჩინელ მოხალისეთა ბანაკებში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიურო დარწმუნებულია, რომ 1952 წლის 25 ივნისის დღის მოწყობასთან დაკავშირებით მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალები და კაცები გაბედულ და ყოველმხრივ ინიციატივას გამოიჩენენ და ამით განამტკიცებენ მშვიდობის დამცველთა მსოფლიო ფრონტს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 16 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. ა. მალიკმა, რომელიც ივნისში უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეა, 18 ივნისისთვის მოიწვია უშიშროების საბჭოს სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. სახელმწიფოებისადმი მოწოდება — მოიწონონ და დაამტკიცონ ჟენევის 1925 წლის ოქმი ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

2. მიღება გენერალური ასამბლეისადმი რეკომენდაციისა იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ერთსა და იმავე დროს მიღებულ იქნას 14-ვე სახელმწიფო, რომლებმაც შეიტანეს ამის შესახებ განცხადებანი.

ორივე ეს საკითხი უშიშროების საბჭოს განსახილველად დასვა საბჭოთა კავშირის დელეგაციამ.

საბჭოთა დელეგაციამ ამ საკითხებზე წარადგინა რეზოლუციის ორი პროექტი. პირველ საკითხზე საბჭოთა დელეგაციის რეზოლუციის პროექტში ნათქვამია:

„უშიშროების საბჭო

1. იღებს რა მხედველობაში, რომ სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს შორის არსებობს უთანხმოება ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების დასაშვებლობის საკითხში,

2. ითვალისწინებს რა, რომ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება სამართლიანად დაგმობილია მთელი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მიერ, რაც იმით გამოიხატა, რომ 42 სახელმწიფომ ხელი მოაწერა ჟენევის 1925 წლის 17 ივნისის ოქმს, რომელიც ითვალისწინებს ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების აკრძალვას,

3. ადგენს:

მოუწოდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როგორც წევრ, ისე არაწევრ ყველა სახელმწიფოს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებიათ ან არ მოუწონებიათ ჟენევაში 1925 წლის 17 ივნისს ხელმოწერილი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების აკრძალვას, მოიწონონ და დაამტკიცონ ეს ოქმი“.

მეორე საკითხზე საბჭოთა დელეგაციის რეზოლუციის პროექტში ნათქვამია:

„უშიშროების საბჭო ურჩევს გენერალურ ასამბლეას ერთსა და იმავე დროს მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად შემდეგი სახელმწიფოები, რომლებმაც შემოიტანეს ამის შესახებ განცხადებანი: ალბანეთი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ფინეთი, იტალია, პორტუგალია, ირლანდია, ტრანსიორდანია, ავსტრია, ცეილონი, ნეპალი და ლიბია“.

შეწყვიტეთ ომი მალაიაში!

ჰარი პოლიტის სტატია „დეილი უორკერში“

ლონდონი, 14 ივნისი. (საკდესი). დიდ ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა „დეილი უორკერში“ მოათავსა სტატია იმის გამო, რომ შესრულდა მეთხუთე წლისთავი „მალაიაში სამარცხვინო და სასტიკი ომისა, რომელსაც ინგლისელი იმპერიალისტები მალაიელი ხალხის წინააღმდეგ ეწევიან“.

ჰარი პოლიტი აღნიშნავს, რომ 4 წლის განმავლობაში ინგლისის მთავრობა ამაოდ ცდილობდა ჩაეხშო სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა მალაიაში და მიმართავდა ისეთ მეთოდებს, „რომლებიც კორეაში ამერიკელთა მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებასაც კი სჭარბობენ“. ათასობით ინგლისელი ახალგაზრდა მოკლულ იქნა, ხოლო უფრო მეტი დაიჭრა. „ამ ომისათვის ინგლისელი ხალხის ცხოვრების დონის საზარაოდ 500 მილიონამდე გირვანქა სტერლინგი დაიხარჯა.

„100 წლის შემდეგაც კი, — წერს პოლიტი,— მალაიელი, კორეელი და მთელი აზიის ხალხები არ აპატიებენ და არ დავიწყებენ ამ საშინელ დანაშაულს, რაც მათ წინააღმდეგ ინგლისელმა და ამერიკელმა იმპერიალისტებმა ჩაიდინეს“.

პოლიტი ამხილებს ამ ომის ნამდვილ ხასიათს, რომელიც წარმოებს იმისათვის, რომ „კაუჩუკისა და კალის ინგლისური კომპანიების მფლობელებმა მალაიელი მუშების ულმობელი ექსპლოატაციით კვლავ მიიღონ კოლოსალური მოგება... „პოლიტი მოუწოდებს ინგლისის მუშათა მოძრაობას „გამოიყენოს თავისი გავლენა, რათა მიაღწიოს მალაიიდან ინგლისის ჯარების გამოყვანას“.

ინგლის-ამერიკის უთანხმოება ახლო აღმოსავლეთში

ბეირუთი, 16 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ალ-ამალი“ იმოწმებს ლონდონიდან გადმოცემულ ცნობებს და წერს: ინგლისს ზოგიერთ წრეში აცხადებენ, რომ ახლანდელი კრიზისი ტრანსიორდანიაში მეფე თალალის გადადგომის შედეგად იმით არის გამოწვეული, რომ მეფე თალალმა შიშველის (სირიის გენერალური შტაბის უფროსი.—რედ.) მოწონებით შეიმუშავა „დიდი სირიის“ პროექტი, რომლის მიზანი იყო „ინგლისის გავლენის არა გაძლიერება, არამედ შესუსტება“ სირიასა და ტრანსიორდანიაში. ამრიგად, წერს გაზეთი, ახალი პროექტი იმ პროექტის საწინააღმდეგო მიზნებს ისახავდა, რომელიც მეფე აბდულამ შეიმუშავა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ, რაკი ინგლისმა თავისი გავლენისათვის მოვლინებული საფრთხე იგრძნო, ახლანდელი კრიზისი გამოიწვია ტრანსიორდანიაში.

იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის აღდგენა

პარიზი, 16 ივნისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ იაპონიის მთავრობამ შეიმუშავა 300 ათასი ტონა საერთო წყალწყვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნის ხუთწლიანი გეგმა. გენერალმა კლარკმა უკვე მოიწონა ეს გეგმა და იგი ვაშინგტონს გაგზავნა საბოლოოდ დამტკიცებისათვის. იუწყებიან, რომ წელს იაპონია ამერიკის 60 გემს მიიღებს.

ქუთაისი. საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ახალი საცხოვრებელი სახლები.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

რამდენიმე სწრაფქონით

◉ **საქართველოს ბერიას სახელობის** სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრამ ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოაწყო ღომის სათესი საცდელი ნაკვეთი, სადაც ღომი ხუთი სხვადასხვა წესით არის დათესილი. ამოცანად დასახულია იმის გამორკვევა, თუ თესვის რომელი წესი იძლევა უკეთეს შედეგს.

◉ **საქართველოს ლუდ-ლიმონათის** ტრესტის ცნობით წელს რესპუბლიკაში არსებული ლუდის ქარხნები გამოუშვებენ შარშანდელზე ნახევარი მილიონი ლიტრით მეტ ლუდს.

◉ **პროფესიულ კავშირთა** რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების მუშაობის დაწყებისა და დამთავრების დრო გადმოსწია ერთი საათით, რათა საწარმოებში მუშაობის დამთავრების შემდეგ პროფკავშირის წევრს საშუალება ჰქონდეს თავის საქმეზე მიეიდეს პროფკავშირში. ამჟამად პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებში მუშაობას იწყებენ დილის 10 საათზე და ამთავრებენ საღამოს 6½ საათზე.

◉ **საქართველოს სამედიცინო გამომცემლობა** იწყებს წიგნების სერიის გამოშვებას რესპუბლიკის კერძოტრების შესახებ. უკვე იბეჭდება და გამოსაშვებად მზადდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ ნ. ყიფშიძის წიგნი „ბორჯომის ხეობა“.

ახალი წიგნები

„საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა **დ. ბენაშვილის** წიგნი **„ლიტერატურული ძიებანი“.** წიგნში მოთავსებულია შემდეგი ლიტერატურული ნარკვევები: „ნიკო ლორთქიფანიძე“, „ლეო ქიაჩელი“, „პოლიკარპე კაკაბაძე“, „სერგო კლდიაშვილი“, „კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის ურთიერთობის საკითხისათვის“ და „ალექსანდრე პუშკინი“.

წიგნი, რომლის რედაქტორია გ. ნატრაშვილი, ჩასმულია მაგარ კანში და ღირს 7 მანეთი.

საბლიტგამმა გამოსცა მწერალ **მაყვალა მრევლიშვილის საბავშვო წიგნი „ჩვენი სათამაშოები“.** წიგნში მოთავსებული ლექსები განკუთვნილია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. ყველა ლექსს დართული აქვს სათანადო სურათი, შესრულებული მხატვარ შალვა ცხადაძის მიერ. წიგნის რედაქტორია გრიგოლ აბაშიძე.

ჟურნალები შორეული რაიონებიდან

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ტურისტებისა და თბილისის მშრომელთაგან შემდგარ ექსკურსანტების მრავალ ჯგუფს მოემსახურა კვირას, 15 ივნისს, თბილისის საექსკურსიო ბაზა.

თბილისის ისტორიულ-რევოლუციური ადგილები და ღირსშესანიშნავი ძეგლები დათვალიერეს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, გორკიდან, სვერდლოვსკიდან, კაუნასიდან, მურმანსკიდან, ვილნიუსიდან ჩამოსულებმა — მანქანათმშენებელმა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მეცნიერ მუშაკებმა, მასწავლებლებმა და სხვ.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — „პრავდის“ 17-VI მოწინავე — ხალხთა ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის!

ორი ნორმა დღეში. პირველი განალეწი საწელმწიფოს. მარნეულელები პურის ბაის წინ.

საბჭოთა კავშირში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — დ. სანდაძე—რაიკომში ახშობენ კრიტიკას ქვემოდან. პ. ბაკრაძე — პარტიული ორგანიზაციები და კომკავშირი.

მ. მაზანაშვილი — უდარდელი დამოკიდებულება საკვებისადმი. ა. კუმარიტოვი — ნათესებს სარეველა მოერია.

ბ. კოსარევი — საბჭოთა ლიტერატურის დიდება და სიამაყე (მ. გორკის გარდაცვალების 16 წლისთავის გამო).

მესამე გვერდი — მკითხველთა წერილები.

ვ. ტოგონიძე — პედაგოგიური კადრების იდეური აღზრდა.

ეტიუდების „საქართველოს ახალმშენებლობანი“ განხილვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში. გერმანიის პრობლემების გადამწყვეტ საერთაშორისო კონფერენციაზე.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1952-53 სასწავლო წლისათვის.

ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 40 წლის ასაკამდე:

ა) რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება ასარჩევი სპეციალობის მიხედვით, გამამჟღავნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ სპეციალობის მიხედვით სამეცნიერო, პედაგოგიური ან საწარმოო მუშაობის გამოცდილება;

ბ) რომელთაც მიმდინარე სასწავლო წლის წარჩინებით დამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი, გამამჟღავნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი მიდრეკილება და რეკომენდებული არიან ასპირანტურაში მისაღებად უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით.

ასპირანტურაში მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: ქართული ენა, ქართული ლექსიკოლოგია, ძველი აღმოსავლეთის ენები (ენათმეცნიერების ინსტიტუტი); ძველი ქართული ლიტერატურა (რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი); საბჭოთა საქართველოს ისტორია, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, არქეოლოგია (ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი); დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, ფილოსოფიის ისტორია (ფილოსოფიის ინსტიტუტი); ზოგადი ფსიქოლოგია (დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი); პოლიტიკური ეკონომია, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა (ეკონომიკის ინსტიტუტი); მათემატიკა, თეორიული მექანიკა (ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი); ექსპერიმენტული ფიზიკა, თეორიული ფიზიკა (ფიზიკის ინსტიტუტი); სეისმოლოგია, მეტეოროლოგია (გეოფიზიკის ინსტიტუტი); დანალექი ქანების პეტროგრაფია, მაგმური ქანების პეტროგრაფია (გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტი); ეკონომიური გეოგრაფია (ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი); ფიზიკური ქიმია—ელექტრონული მიკროსკოპია და ელექტრონოგრაფია (მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი); ასტროფიზიკა (აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია); უმაღლესი მცენარეები, მცენარეთა ფიზიოლოგია (ბოტანიკის ინსტიტუტი); მეტყევეობა, ტყის კულტურები (სატყეო ინსტიტუტი); სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაგნებლებთან და ავადმყოფობებთან ბრძოლის მექანიზაცია, ენტომოლოგია (მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი); აგროქიმია, ნიადაგის ფიზიკა (ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტი); ხორბლეული კულტურები, ტექნიკური კულტურები (მემინდვრეობის ინსტიტუტი); სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია (ბევნეხობა-მეღვინეობის ინსტიტუტი); ჰიდრობიოლოგია (ზოოლოგიის ინსტიტუტი); უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგია (ფიზიოლოგიის ინსტიტუტი); ჰისტოლოგია, პათოლოგიური ანატომია (ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი); ბიოქიმია, ჰემატოლოგია (ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტი); პათომორფოლოგია (ექსპერიმენტული და კლინიკური კარდიოლოგიის ინსტიტუტი); პალეობიოლოგია (პალეობიოლოგიის სექტორი); ლითონმცოდნეობა და ლითონების თერმული დამუშავება, შედუღების წარმოება, მეტალურგიული ღუმელები, სარგებლო ნამარხების საბადოთა დამუშავება (ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი); სამშენებლო მექანიკა—სეისმომდგრადი მშენებლობა, რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, ნაგებობათა გამოცდა (სამშენებლო საქმის ინსტიტუტი); ჰიდროენერგეტიკა, სპეციალური ჰიდრავლიკა, ზოგადი ენერგეტიკა, თბოტექნიკა (დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტი); ბიბლიოთეკათმცოდნეობა.

ასპირანტურაში შესვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, სპეციალურ დისციპლინაში, რუსულ ენასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

ასპირანტურაში შემსვლელმა განცხადებები უნდა შეიტანოს როგორც სათანადო ინსტიტუტის დირექტორის, ისე ასპირანტურის განყოფილების სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი, ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის ფურცელი, ღახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან და ცნობა საწარმოო სტაჟის შესახებ, საბუთი სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, დაბეჭდილ შრომათა სია, სამი ფოტოსურათი, უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს შუამდგომლობა („ბ“ მუხლში აღნიშნულ პირთათვის).

ასპირანტურაში ჩარიცხულთა ნაწილი საასპირანტო კურსის გასავლელად მიავლინებელი იქნება შესაფერ ინსტიტუტებში ქ. მოსკოვში.

განცხადებები მიიღება 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 1 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში, ძერჟინსკის ქ. № 8, ტელეფონი 3-69-80.

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1952-53 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება იწარმოებს:

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტის ქართულ და რუსულ სექტორზე (სპეციალობა: სუბტროპიკული მეურნეობა და დეკორაციული მებაღეობა).

2. სუბტროპიკული კულტურების, ხილისა და ბოსტნეულის ტექნოლოგიის ფაკულტეტის ქართულ და რუსულ სექტორზე.

3. სუბტროპიკულ მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე.

4. მეაბრეშუმეობის ფაკულტეტზე.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 17-35 წლის ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სრული საშუალო სკოლა. იმ პირთათვის, რომელთაც დამთავრებული აქვთ სპეციალური ტექნიკუმი, სავალდებულოა კანონით გათვალისწინებული სამი წლის საწარმოო სტაჟი.

ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით, აგრეთვე ის პირები, რომლებმაც ტექნიკუმი დაამთავრეს წარჩინებით, ირიცხებიან 5%-ში და ინსტიტუტში შედიან სპეციალობის მიხედვით სასწავლებლის დამთავრებიდან 2 წლის განმავლობაში.

დანარჩენი პირები გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. სუბტროპიკული მეურნეობისა და მეაბრეშუმეობის ფაკულტეტებზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში.

შენიშვნა: სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტის რუსულ სექტორზე გამოცდებს აბარებენ: რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში.

2. სუბტროპიკული მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში.

3. სუბტროპიკული კულტურების, ხილისა და ბოსტნეულის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე გამოცდებს აბარებენ: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი), ქიმიაში, ფიზიკაში და ერთ-ერთ უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი).

შენიშვნა: ამ ფაკულტეტის რუსულ სექტორზე გამოცდებს აბარებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი), ფიზიკაში, ქიმიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე 20 ივნისიდან 31 ივლისამდე; განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

ავტობიოგრაფია, საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), სამი ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ (გადაღებული უქუდოდ), ცნობა სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ, პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას გამოცხადებისას). განცხადების შემომტანმა სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს ინსტიტუტთან არსებულ საექიმო კომისიაში.

მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

ინსტიტუტში ჩარიცხული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. ქუთაისი, ვოროშილოვის ქ. № 67.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს მეცნარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის განყოფილების გამგის, უმაღლეს მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის განყოფილების გამგის, უმაღლეს მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის განყოფილების გამგის და ბაკურიანის მაღალმთის ბოტანიკური ბაღის გამგის თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველის განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხის და წოდებაში დამტკიცების შემოწმებული ასლები, სამსახურებრივი და პარტიული ღახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან და შრომების სია, რეცენზირებული სათანადო დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ და გამოქვეყნებული მთავარი სამეცნიერო შრომები.

კონკურსის ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

განცხადება მიიღება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში (თბილისი, კოჯრის გზატკეცილი).

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის მაუწყებლობის პროგრამა

რადიოსადგურით 59.52 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

19 ივნისს

06.25 — ლიადოვის მინიატიურები; 07.30 — მუსიკალური ანტრაქტი; 07.40 — „პიონერთა დაფიონი“; 09.20 — ნაწყვეტები საბჭოთა კომპოზიტორების ოპერებიდან; 11.10 — მურავლიოვის სიმფონიური პოემა „ოზოვის მთა“; 11.25— საუბარი: „ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული პარტიის შესახებ“; 11.40 — ქართული ხალხური სიმღერები.

რადიოსადგურებით 1571 და 59.52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

17.15 — კონცერტი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტების რუსუდან გედევანიშვილისა და შოთა თაბუკაშვილის მონაწილეობით; 17.40— გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — შალვა შვანკარაევის სუიტა „მზის ამოსვლა“; 19.15 — კამერული მუსიკის კონცერტი; 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის.

რადიოსადგურებით 1.500 და 59.52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

20.30 — მონიუშკოს ოპერა „გალკა“; I ანტრაქტში — საუბარი; II ანტრაქტში — ლიტერატურული გადაცემა; 00.05 — ქართული მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — პიკის ქალი; **მარჯანიშვილის სახელობის** — ვარდი ასფურცლოვანი; **გრიბოედოვის სახელობის** — ტოროლები გალობენ (44-ე და 45-ე ან.); **სომხური დრამის** — ქროროლი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ძველი ჭრილობა (45-ე ან. 8 ს.); **მუსიკალური კომედიის** — სამთა სიყვარული; **სანკულტურის** — მეგობრები; **ფილარმონია** — აზერბაიჯანის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის კონცერტი (9 ს.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის „ოქტომბერი“ — დასავლეთი ზონა; **„ისანი“**—(ზაფხულის) თქმულება ნადირობაზე; **„დიდუბე“** — (ზაფხულის) ახალგაზრდა პარტიზანები, (ზამთრის) სორორინკის ბაზრობა; **ოფიცერთა პარკი**—იანიკა; **„კოლმეურნე“** — არშინ-მალ-ალან.

მოქალაქე **ვერა პავლეს ასულმა ლიაბინმა,** მცხოვრებმა სამების ქ. № 214, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **იოსებ ნიკოლოზის-ძე ხოკრიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ თბილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს კოლეგია.

გამომცემლობა „კომუნისტს“ ეხაჭიროება ზოფერი სატვირთო მანქანისათვის

პირობების გასაგებად მიმართეთ ლენინის ქ. № 14. მესამე სართული—გამომცემლობა „კომუნის